პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 4 ოქტომბერი, 1947 წ. № 198 (7982). ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთში:

დედაქალაქის ბოლშევიკების საბრძოლო ამოცანები—მოწინავე (1-ლი გვერდი).
ვალდებულებათა შესრულება (1-ლი გვერდი).
საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმი (მე-2 გვერდი).
დიდი ოქტომბრის XXX წლისთავის შესახვედრად (მე-2 გვერდი).
საბჭოთა მშენებლობა—სასოფლო საბჭო და კოლმეურნეობები (მე-3 გვერდი).
პროფესორი დ. გედევანიშვილი—ქართველი მეცნიერები ფიზიოლოგთა, ბიოქიმიკოსთა და ფარმაკოლოგთა ... ყრილობაზე (მე-3 გვერდი).
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეორე სესია (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები—დეპეშები (მე-4 გვერდი).

## დედაქალაქის ბოლშევიკების საბრძოლო ამოცანები

პარტიის თბილისის კომიტეტის XIX პლენუმმა, რომელიც 1 ოქტომბერს შესდგა, განიხილა თბილისის საქალაქო პარტიულ ორგანიზაციაში კადრებთან მუშაობის გაუმჯობესების საკითხი.

ბოლშევიკების პარტია, დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი ყოველთვის უდიდეს ყურადღებას უთმობდნენ და უთმობენ კადრების აღზრდას, მათს შერჩევასა და დაწინაურებას, როგორც სოციალისტური მშენებლობის წარმატების ძირითად პირობას. კადრებთან მუშაობის გაუმჯობესების საკითხი განსაკუთრებით მკვეთრად ისმის ახლა, როცა მთელი ჩვენი ქვეყნის წინაშე დასახულია სახალხო მეურნეობის განვითარების დიადი სტალინური პროგრამა, რომლის წარმატებით განხორციელება დამოკიდებულია კადრებზე.

თბილისის პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში მტკიცედ ხელმძღვანელობენ კადრებთან მუშაობის სტალინური პრინციპით, სერიოზული მუშაობა გასწიეს კადრების აღზრდის, შერჩევისა და დაწინაურებისათვის, მათი ბოლშევიკურად გამოწრთობისათვის. კადრების სწორი შერჩევისა და განაწილების შედეგად დედაქალაქის ბოლშევიკებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ფრონტებზე. ომისშემდგომი ხუთწლედის პირველი წლის გეგმა თბილისის სამრეწველო საწარმოებმა გადაჭარბებით შეასრულეს. წარმატებით სრულდება მიმდინარე წლის გეგმაც. ბევრი რამ გაკეთდა საქალაქო მეურნეობის კეთილმოწყობის დარგში. გაუმჯობესდა მუშაობა პარტიული და საბჭოთა აპარატის ხელმძღვანელი კადრების მოსამზადებლად, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მათს მარქსისტულ-ლენინურ აღზრდას. პარტიის თბილისის კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტი, საქალაქო კომიტეტთან და რაიონულ კომიტეტებთან შექმნილი აქტივის სემინარები ემსახურებიან კადრების თეორიული დონის ამაღლებას. სერიოზული მუშაობაა გაწეული დედაქალაქის სკოლებისათვის პედაგოგიური კადრების მოსამზადებლად, მუშათა კვალიფიციური კადრების აღსაზრდელად.

მაგრამ, როგორც პლენუმზე აღინიშნა, კადრებთან მუშაობის დარგში თბილისის პარტიულ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანი აქვთ. არის არასაკმაოდ შემოწმებულ ადამიანთა დაწინაურების შემთხვევები, ხშირია ნომენკლატურულ მუშაკთა ცვალებადობა. მაგალითად, პარტიის ორჯონიკიძის რაიკომმა 1946 წლის მანძილზე ნომენკლატურულ მუშაკთა 25 პროცენტი შეცვალა, 26 კომისრის რაიკომმა მიმდინარე წლის 7 თვის განმავლობაში—26 პროცენტი. კიროვის რაიონში 6 თვეში პირველად პარტიულ ორგანიზაციათა მდივნების 22,5 პროცენტი შეიცვალა. მარტო სტრიკოტაჟო-სავალანტერიო ფაბრიკაში ერთი წლის მანძილზე სამჯერ შეცვალეს პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი. კადრების შერჩევა-დაწინაურებაში სერიოზული ნაკლოვანებები აქვთ მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოსა და რაიონული საბჭოების აღმასკომებს. მიუხედავად იმისა, რომ სავაჭრო ორგანიზაციების კადრებით განმტკიცებისათვის მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული, სავაჭრო ორგანიზაციების ქსელში მაინც მუშაობს ზოგიერთი შეუფერებელი, შემთხვევითი ადამიანი. დედაქალაქის ზოგიერთ საწარმოთა ხელმძღვანელი არადამაკმაყოფილებლად მუშაობს კადრებთან, ამით აიხსნება მუშათა, განსაკუთრებით ახალგაზრდა მუშათა დენადობა. განსაკუთრებით დიდია იმ მუშების დენადობა, რომლებსაც თბილისის სამრეწველო საწარმოები რუსთავის მეტალურგიული ქარხნისათვის ამზადებენ, რაც იმით არის გამოწვეული, რომ მრავალ მათგანს სპეციალობის მიხედვით არ იყენებენ, სათანადო საყოფაცხოვრებო პირობებს არ უქმნიან, მათ შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობას დამაკმაყოფილებლად არ ეწევიან. არის ნაკლი დასაწინაურებელ რეზერვთან მუშაობაშიც. ზოგჯერ რეზერვში ირიცხებიან შეუმოწმებელი, დასაწინაურებლად გამოუსადეგარი პირები.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმმა დედაქალაქის პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებს დაავალა მოკლე ხანში აღმოფხვრან ეს ნაკლოვანებანი, გადაჭრით გააუმჯობესონ კადრების აღზრდის, შერჩევისა და დაწინაურების საქმე.

უპირველეს ყოვლისა საჭიროა დაკვირვებით შევისწავლოთ თვითეული ადამიანი, პრაქტიკულ სამუშაოზე გამოვავლინოთ მზარდი და უნარიანი მუშაკები. ყოველდღიურად დავეხმაროთ ახალდაწინაურებულთ, არ დავუშვათ კადრების ხშირი ცვალებადობა, თავის დროზე შევცვალოთ უუნარო მუშაკები.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კადრების მარქსისტულ-ლენინურად აღზრდას. პარტიულ ორგანიზაციებს ევალებათ გააძლიერონ კონტროლი და მომთხოვნელობა ხელმძღვანელი კადრებისადმი, ინტელიგენციისადმი, ყოველდღიურად დაეხმარონ წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებს, მოაწყონ კვალიფიციური ლექციები, მოხსენებები, თეორიული და ტექნიკური კონფერენციები, გააუმჯობესონ აქტივის სემინარების მუშაობა, უზრუნველჰყონ მეცადინეობის მაღალი იდეური დონე.

პლენუმმა დაავალა პარტიულ ორგანიზაციებს მთელი სერიოზულობით მოეკიდონ ხელმძღვანელი კადრების მიერ რუსული ენის დაუფლების საქმეს, ჩააბან რუსული ენის შემსწავლელ კურსებზე პარტიული და საბჭოთა აქტივი.

პარტიულ და სამეურნეო კადრებთან მუშაობის გაუმჯობესების მიზნით პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა და სამრეწველო საწარმოთა პირველადმა ორგანიზაციებმა რეგულარულად უნდა მოიწვიონ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებები, განიხილონ პარტიულ-პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობის აქტუალური საკითხები, რაც დაეხმარება მათ თავიანთი ამოცანების უფრო ღრმად გაგებასა და მუშაობის უკეთ წარმართვაში.

სამეურნეო აქტივისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისადმი დახმარების მიზნით პლენუმმა საჭიროდ სცნო საქალაქო პარტიულ კაბინეტთან მოეწყოს სემინარები მრეწველობის დარგების მიხედვით, უზრუნველყოფილ იქნან ისინი კვალიფიციური ლექტორებით.

პარტიული ორგანიზაციები მთელი სერიოზულობით უნდა მოეკიდონ სავაჭრო დარგის მუშაკთა კადრების აღზრდას, მათს სწორად შერჩევასა და დაწინაურებას. სისტემატური კონტროლი უნდა გაეწიოს სავაჭრო ორგანიზაციებში კადრებთან მუშაობას, გაძლიერდეს სავაჭრო ქსელში მომუშავეთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, ყურადღება მიექცეს მათი კულტურული დონის ამაღლებას.

დიდი ამოცანები აკისრიათ დედაქალაქის სამრეწველო საწარმოებს. ამ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა დამოკიდებულია მუშათა კვალიფიციურ კადრებზე. საწარმოთა ხელმძღვანელებისა და მათი პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა შეუნელებლად იზრუნონ მუშათა კვალიფიციური კადრების აღსაზრდელად, მათ შესანარჩუნებლად, შეუქმნან მუშებს სათანადო საყოფაცხოვრებო პირობები, გააძლიერონ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა მუშებში, განსაკუთრებით ახალგაზრდა მუშებს შორის.

პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა, მათმა განყოფილებებმა, პირველ რიგში კადრების განყოფილებებმა ყოველმხრივ უნდა გააუმჯობესონ კადრებთან და დასაწინაურებელ რეზერვთან მუშაობა, რეზერვში ჩარიცხულთ მისცენ ისეთი დავალებანი, რაც ხელს შეუწყობს მათი იდეური დონის ამაღლებას, პრაქტიკულ მუშაობაში გამოწრთობას. პარტიულმა კომიტეტებმა ხშირად უნდა მოისმინონ საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ანგარიშები კადრებთან მუშაობის შესახებ, მიაღწიონ ამ დარგში არსებულ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსწორებას.

უკეთესად ვიმუშაოთ კადრებთან, დავაწინაუროთ მხოლოდ ყოველმხრივ შემოწმებული, ლენინ-სტალინის საქმისათვის უსაზღვროდ ერთგული ადამიანები, დაუღალავად ვიზრუნოთ მათი თეორიული დონის ასამაღლებლად, აღვზარდოთ ისინი ბოლშევიკური პრინციპულობის, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით — ასეთია დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანები.

# ვალდებულებათა შესრულება

მოსკოვი, კრემლი

## ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

მოგახსენებთ, რომ ტალდი-კურგანის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა პირნათლად გაანაღდეს თავიანთი ვალდებულებანი და ამა წლის 27 სექტემბერს 100,3 პროცენტით შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა (მინდის ჩაუთვლელად). განვაგრძობთ პურის ჩაბარებას გეგმის გადამეტებით.

**ყაზახეთის კ. პ. (ბ) ტალდი-კურგანის საოლქო კომიტეტის მდივანი ა. კონდრატენკო**
**ტალდი-კურგანის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე ს. ჯაკიპოვი**
**დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული ტალდი-კურგანის ოლქში ნ. ტარასენკო**

მოსკოვი, კრემლი

## დიდ ბელადსა და მასწავლებელს, ჩვენს მშობლიურ მამას იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

უდიდესი სიხარულით მოგახსენებთ, რომ უკრაინის სსრ ვოლინის ოლქის კოლმეურნეებმა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებმა, ერთპიროვნულმა გლეხებმა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა გაანაღდეს თქვენთვის გამოგზავნილ წერილში ნაკისრი ვალდებულებანი და ვადამდე, 1947 წლის 23 სექტემბერს, 100,4 პროცენტით შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა.

კოლმეურნეობებსა და ერთპიროვნულ გლეხებს შეგნებული აქვთ პურის მნიშვნელობა ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცების საქმეში და განაგრძობენ პურის ჩაბარებას გეგმის გადამეტებით.

პურის ჩაბარებამ ვოლინის ოლქში ჩაიარა, როგორც მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი ვოლინის მშრომელი გლეხობის ერთგულების ახალმა დემონსტრაციამ.

მოსავლის აღებისა და პურის ჩაბარების დღეებში მშრომელმა გლეხობამ 157 ახალი კოლმეურნეობა შექმნა. 10 ათასზე მეტი ერთპიროვნული გლეხი დაადგა კოლექტიური მეურნეობის ნაცად გზას.

პირობას გაძლევთ თქვენ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ ვოლინის ოლქის კოლმეურნეები, მშრომელი ერთპიროვნული გლეხები, სოფლის მეურნეობის მუშაკები კვლავაც დაუღალავად იბრძოლებენ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღდგენისა და განვითარებისათვის საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის მიერ დასახული ამოცანების შესასრულებლად, მთელ თავიანთ ძალღონეს მოახმარენ იმას, რომ წარმატებით დაამთავრონ საშემოდგომო თესვა და ყველა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება.

გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას)—ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელს!

გაუმარჯოს დიდ ბელადსა და მასწავლებელს, ჩვენს მშობლიურ ამხანაგ სტალინს!

**უკრაინის კ. პ. (ბ) ვოლინის საოლქო კომიტეტის მდივანი პროფატილოვი**
**მშრომელთა დეპუტატების ვოლინის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე რეშეტნიაკი**
**სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული ვოლინის ოლქში ანდრუსენკო**

მოსკოვი, კრემლი

## ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ თქვენ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ ვლადიმირის ოლქის კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და დამხმარე მეურნეობებმა გაანაღდეს თქვენს წინაშე ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი და ვადამდე, ა. წ. 30 სექტემბერს, 100,4 პროცენტით შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა. სახელმწიფოს ჩაბარდა 1.700 ათასი ფუთით მეტი პური, ვიდრე შარშან. სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარება გრძელდება.

პირობას გაძლევთ თქვენ, ამხანაგო სტალინ, რომ ვლადიმირის ოლქის კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები არ დაიშურებენ თავიანთ ძალღონეს კარტოფილისა და ბოსტნეულის ჩაბარების სახელმწიფო გეგმის ვადამდე შესასრულებლად, ოლქის სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებისა და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისათვის.

**საკავშირო კ. პ. (ბ) ვლადიმირის საოლქო კომიტეტის მდივანი ალფეროვი**
**მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბრანტი**
**საკავშირო ალკკ საოლქო კომიტეტის მდივანი ტიკუნოვი**
**დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული ვლადიმირის ოლქში ნოგტევი**

მოსკოვი, კრემლი

## ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ თქვენ, ამხანაგო სტალინ, რომ ველიკიე ლუკის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 30 სექტემბერს, შარშანდელთან შედარებით თვენახევრით ადრე, 100,6 პროცენტით შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა, ხოლო სელის თესლის ჩაბარებისა—126 პროცენტით. მიმდინარე წლის მოსავლიდან სახელმწიფოს ჩაბარდა 550 ათასი ფუთით მეტი მარცვლეული, ვიდრე 1946 წელს. სახელმწიფოსათვის მარცვლეულისა და სელის თესლის ჩაბარება გრძელდება.

პირობას გაძლევთ თქვენ, ამხანაგო სტალინ, რომ ველიკიე ლუკის ოლქის კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები არ დაიშურებენ ძალღონეს სელის პროდუქციის, კარტოფილის, ბოსტნეულის ჩაბარების სახელმწიფო გეგმის ვადამდე შესასრულებლად და ყველაფერს გააკეთებენ სოფლის მეურნეობის უსწრაფესი აღდგენისა და შემდგომი აღმავლობისათვის, საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებისა და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისათვის.

**საკავშირო კ. პ. (ბ) ველიკიე ლუკის საოლქო კომიტეტის მდივანი გოიკაჩევი**
**საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე სიდოროვი**
**დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული ველიკიე ლუკის ოლქში სელივანოვი**

მოსკოვი, კრემლი

## ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

გაცნობებთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ ნოვგოროდის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე, 30 სექტემბერს, 101 პროცენტით შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა (მინდის ჩაუთვლელად). ოლქის კოლმეურნეობებისათვის დაწესებული სელის თესლის დამზადების გეგმაც 25 სექტემბრისათვის შესრულებულია 103,6 პროცენტით. გრძელდება პურისა და სელის თესლის ჩაბარება გეგმის გადამეტებით.

ემზადება რა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 30-ე წლისთავის დღესასწაულის ღირსეულად შეხვედრისათვის, ნოვგოროდის ოლქის კოლმეურნე გლეხობა ყველა ზომას იღებს, რათა ვადამდე მოიხადოს სახელმწიფოს წინაშე კარტოფილისა და ბოსტნეულის ჩაბარების ვალდებულება.

**საკავშირო კ. პ. (ბ) ნოვგოროდის საოლქო კომიტეტის მდივანი გ. ბუმაგინი**
**ნოვგოროდის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე პ. ერემეევი**
**სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული ნოვგოროდის ოლქში ნ. ალექსეევი**

მოსკოვი, კრემლი

## ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ, თქვენ ამხანაგო სტალინ, რომ ფსკოვის ოლქმა გაანაღდა სოციალისტური ვალდებულება და ვადამდე, 28 სექტემბერს, 100,2 პროცენტით შეასრულა პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა (მინდის ჩაუთვლელად). სახელმწიფოს ჩაბარდა 326 ათასი ფუთით მეტი მარცვლეული, ვიდრე 1946 წელს.

სელის თესლის ჩაბარების დაწესებული გეგმა შესრულებულია 128 პროცენტით.

პურისა და სელის თესლის ჩაბარება გრძელდება.

**საკავშირო კ. პ. (ბ) ფსკოვის საოლქო კომიტეტის მდივანი ანტიუფეევი**
**საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე პერეგოდი**

მოსკოვი, კრემლი

## ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

ხაბაროვსკის მხარის თევზის მრეწველობის მუშაკებმა და კოლმეურნე მეთევზეებმა თავიანთ წერილში პირობა მოგცეს თქვენ, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 30-ე წლისთავის დღისათვის შეასრულებდნენ თევზის ჭერისა და დამუშავების წლიურ სახელმწიფო გეგმას.

მოხარული ვართ მოგახსენოთ თქვენ, იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ ხაბაროვსკის მხარის მეთევზეებმა თავიანთი ვალდებულება ვადამდე, 39 დღით ადრე შეასრულეს. თევზის ჭერისა და დამუშავების წლიური გეგმა შესრულებულია 29 სექტემბერს. დაჭერილი და დამუშავებულია 3.970 ათასი ფუთით მეტი თევზი, ვიდრე მთელ 1946 წელს. ორაგულის მარცვლოვანი ხიზილალის დამზადების გეგმა შესრულებულია 35 ათასი ფუთის გადაჭარბებით.

ხაბაროვსკის მხარის თევზის მრეწველობის მუშაკებმა და კოლმეურნე მეთევზეებმა, რომლებიც მისწრაფვიან, რათა პირნათლად შეხვდნენ ღირსშესანიშნავ თარიღს—დიდი ოქტომბრის 30-ე წლისთავს და შორეულ აღმოსავლეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25-ე წლისთავს, გადაწყვიტეს გეგმის გადამეტებით დაიჭირონ და სახელმწიფოს 7 ნოემბრისათვის ჩააბარონ 360 ათასი ფუთი თევზი, დროულად გაგზავნონ მოპოვებული და დამუშავებული თევზეულის პროდუქცია მოხმარების ადგილებში.

პირობას გაძლევთ თქვენ, ამხანაგო სტალინ, რომ ამ ახალ ვალდებულებას პირნათლად შევასრულებთ.

**საკავშირო კ. პ. (ბ) ხაბაროვსკის სამხარეო კომიტეტის მდივანი ნაზაროვი**
**სამხარეო აღმასკომის თავმჯდომარე მამონოვი**

## ადგილობრივი საბჭოების არჩევნები

**ტაშკენტი,** 29 სექტემბერი. (საქდესი). უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა უზბეკეთის სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სადაბო, საყიშლაყო და სააულო საბჭოების არჩევნები დანიშნა კვირისათვის — 1948 წლის 11 იანვრისათვის.

**სტალინაბადი,** 30 სექტემბერი. (საქდესი). ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, საყიშლაყო და სადაბო საბჭოების არჩევნები დანიშნა პარასკევისათვის — 1948 წლის 16 იანვრისათვის.

## სსრ კავშირის აღმოსავლეთი რაიონების ნავთის მრეწველობის მუშაკთა წარმატებანი

სსრ კავშირის აღმოსავლეთი რაიონების ნავთის მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა ვადამდე შეასრულეს ნავთის მოპოვების სექტემბრის გეგმა. ვადაზე ადრე შესრულებულ იქნა აგრეთვე მესამე კვარტალის გეგმა.

„ბაშნეფტისა“ და „კუიბიშევნეფტის“ გაერთიანებათა მუშაკებმა, რომლებიც სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს ასრულებენ, ვადამდე შეასრულეს ნავთის მოპოვების 9 თვის გეგმა. საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვეს ტრესტების „ტუიმაზანეფტის“, „კინელნეფტისა“ და „სტავროპოლნეფტის“ კოლექტივებმა.

სამინისტროს ნავთისგადამამუშავებელმა ქარხნებმა ვადამდე შეასრულეს ბენზინის, დიზელის სათბობის, ფლოტის მაზუთისა და კოქსის გამომუშავების სექტემბრის დავალება. კარგად იმუშავეს ქარხნებმა, რომელთა დირექტორები არიან ამხანაგები პოპკოვი, ლექსაშევი, რიბაკი, გრიგორიევი, ლიტვინოვი, სმირნოვი, კოტოვი და კარამიანი. (საქდესი).

## ერთ მილიონზე მეტი ფუთი პური გეგმის გადამეტებით

**ყაზანი,** 2 ოქტომბერი. (საქდესი). თათრეთის კოლმეურნეები, რომლებსაც პირობა ჰქონდათ დადებული, რომ სამშობლოს 10 ოქტომბრისათვის გეგმის გადამეტებით მისცემდნენ სამ მილიონ ფუთ მარცვლეულს, პირნათლად ასრულებენ თავიანთ ვალდებულებას.

უკანასკნელ დღეებში დამამზადებელ პუნქტებს დავალების გადამეტებით ჩაბარდა 1.150.000 ფუთი მარცვლეული. ბუდიონოვსკის რაიონის კოლმეურნეობებმა დამატებით ჩააბარეს 128 ათასი ფუთი პური, ბუინსკის კოლმეურნეებმა — 120 ათასი ფუთი მარცვლეული.

## ლენინგრადის 250 ქარხანამ და ფაბრიკამ წლიური გეგმა შეასრულა

**ლენინგრადი,** 2 ოქტომბერი. (საქდესი). 2 ოქტომბრისათვის ლენინგრადის 15 რაიონის მრეწველობამ გაანაღდა 11 თვის პროგრამა.

იმ საწარმოთა სიას, რომლებმაც წლიური დავალებანი შეასრულეს, მიემატა ტყავეულის კომბინატი „მარქსისტი“, ფურცელსაგლინავი ქარხანა და სხვ. ლენინგრადში 250 ქარხანამ და ფაბრიკამ წლიური გეგმა ვადამდე შეასრულეს.

## ქალაქ მოსკოვის მრეწველობამ შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების 10 თვის გეგმა

ამა წლის 1 ოქტომბერს ქალაქ მოსკოვის მრეწველობამ შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების 10 თვის გეგმა. 9 თვის გეგმის გადამეტებით გამოშვებულია ფოლადის ავტომობილების, მოტოციკლების, დაზგების ბურთულა-საკისრების, შალეულისა და აბრეშუმეულის, ფეხსაცმლის, გაზის ქურების მნიშვნელოვანი რაოდენობა.

საწარმოთა კოლექტივები განაგრძობენ შეუპოვარ ბრძოლას, რათა ვადამდე შეასრულონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 30-ე წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი. (საქდესი).

## კადრები ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნისათვის

**ტაგანროგი,** 2 ოქტომბერი. (საქდესი), 250 ახალგაზრდა ქართველმა დაამთავრა საწარმოო სწავლება ანდრეევის სახელობის მეტალურგიული ქარხნის საამქროებში. რთული პროფესიების დაუფლებაში მათ დაეხმარნენ საუკეთესო სტახანოველები, ჩქარი დნობის ოსტატები. წარმოების ახალგაზრდა მუშები ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში იმუშავებენ.

საქართველოს ... 

# საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმი

1 ოქტომბერს შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის XIX პლენუმი. პლენუმმა განიხილა თბილისის საქალაქო პარტიულ ორგანიზაციაში კადრებთან მუშაობის გაუმჯობესების საკითხი.

მომხსენებელმა — საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა კადრების დარგში ამხ. **ვ. ლოლაძემ** პლენუმს უამბო, თუ რა დიდი მუშაობა გასწიეს ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციებმა ადგილობრივი პარტიული, სამეურნეო და საბჭოთა კადრების აღსაზრდელად, დასაწინაურებლად და გასანაწილებლად. ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ პოლიტიკური და საქმიანი ნიშნების მიხედვით კადრების შერჩევისა და განაწილების სტალინური პრინციპით, ხელმძღვანელ თანამდებობებზე დააწინაურეს მრავალი ნიჭიერი ინიციატივიანი მუშაკი, კარგი ორგანიზატორები, რომლებმაც თავიანთი დანიშნულება გაამართლეს პრაქტიკული მუშაობით. კადრების აღზრდისათვის ყოველდღიური მუშაობის შედეგად შესამჩნევია მათი ზრდა. ბევრი რამ გაკეთდა კადრების სწავლის მოსაწყობად, დასაწინაურებელთა რეზერვის შესაქმნელად.

— კადრებთან მუშაობის დარგში ქალაქის პარტიული ორგანიზაციის მიერ მიღწეული წარმატებანი, — ამბობს მომხსენებელი, — აშკარა და უდავოა. მაგრამ მცდარი და საზიანო იქნება, რომ არ შევამჩნიოთ ცხოვრების მიერ წამოყენებული ახალი ამოცანები, რომ არ დავინახოთ კადრებთან მუშაობის ნაკლოვანებანი.

კადრების განყოფილების მუშაკები ჯერ კიდევ არასაკმაოდ სწავლობენ ადამიანებს უფრო პასუხსაგებ სამუშაოზე დასაწინაურებლად, ნაკლებად ეხმარებიან დაწინაურებულ ამხანაგებს, სათანადო დახმარებას არ უწევენ საბჭოთა, სამეურნეო და ქვემდგომ პარტიულ ორგანიზაციებს კადრებთან მუშაობაში. ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში კადრების განყოფილებები, არსებითად, გადაქცეულია უბრალო ტექნიკურ აპარატად, რომელიც დადგენილებათა სტანდარტულ პროექტებს ამზადებს მუშაკის დანიშვნისა თუ განთავისუფლების შესახებ.

სწორედ ამით აიხსნება შედარებით ხშირი ცვალებადობა კადრებისა, შემთხვევები, როცა ნომენკლატურულ თანამდებობებზე დასანიშნავად წარმოადგენენ არასაკმაოდ შემოწმებულს, ზოგჯერ კი გამოუსადეგარ მუშაკსაც.

მომხსენებელი განსაკუთრებით შეჩერდა საბჭოთა მუშაკების კადრების შერჩევისა და განაწილების მდგომარეობაზე.

როგორც შემოწმებამ ცხადჰყო, რაიონული საბჭოების აღმასკომებში არ არის წესრიგი კადრების აღრიცხვასა და განაწილებაში. ხშირია შემთხვევა, რომ ქალაქის საბჭოს ნომენკლატურის მუშაკებს ხსნიან და ნიშნავენ აღმასკომის დაუკითხავად. მუშაკები, რომლებმაც დანიშნულება ერთ თანამდებობაზე ვერ გაამართლეს, მექანიკურად გადაჰყავთ სხვა ანალოგიურ სამუშაოზე.

დაახასიათა რა თბილისის პარტიულ ორგანიზაციაში კადრების მარქსისტულ-ლენინური აღზრდის მდგომარეობა, მომხსენებელი შეეხო პარტიულ-საბჭოთა აპარატის კადრების სწავლების ზოგიერთ შედეგს. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ერთწლიანი პარტიული სკოლა დაამთავრა 32 კაცმა, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტი — 90 კაცმა, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ექვსთვიანი კურსები—4 კაცმა. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ ორწლიან პარტიულ სკოლაში სწავლობს 18, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ დაუსწრებელ უმაღლეს პარტიულ სკოლაში — 59 კაცი.

გარდა ამისა, კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტიულ კაბინეტთან მუშაობს 5 სემინარი, სადაც მეცადინეობს 265 ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკი. პარტიის რაიკომებთან და თბილისის მსხვილ საწარმოებში არსებულ 19 სემინარში 750 კაცი მეცადინეობს. 10 ათასზე მეტი კაცი დამოუკიდებლად ეუფლება თეორიას.

ამხ. ლოლაძემ ილაპარაკა ამ უკანასკნელი წლების მანძილზე კადრების მარქსისტულ-ლენინური განათლების საქმეში მიღწეულ უდავო წარმატებებზე და ამასთანავე აღნიშნა, რომ არსებითი ნაკლოვანებანი ახასიათებს კადრების თეორიულ სწავლებას, პარტიის რაიკომების მხრივ კადრებისადმი დახმარებას დამოუკიდებელ სწავლაში.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კადრების აღზრდის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს მათს აქტიურ მონაწილეობას პარტიულ ცხოვრებაში, ბიუროს, პარტიულ კომიტეტთა პლენუმის, პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მუშაობაში. მაგრამ,—ამბობს ამხ. ლოლაძე, — პლენუმები, პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებები არარეგულარულად ეწყობა, კადრებთან მუშაობის საკითხებს იქ ძალიან იშვიათად იხილავენ.

— თბილისის პარტიული ორგანიზაციების წინაშე, — ამბობს ბოლოს ამხ. ლოლაძე,—დგას სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დიდი ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების სტალინური ხუთწლიანი გეგმიდან.

ქალაქ თბილისის მრეწველობამ 1946 წელს 101,7 პროცენტით შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა. ამ წლის 8 თვის მანძილზე გეგმა შესრულებულია 106,2 პროცენტით. სარეწაო კოოპერაციის საწარმოებმა 1946 წელს გეგმა 107 პროცენტით შეასრულეს და 1947 წლის 8 თვის მანძილზე—116,5 პროცენტით. ინვალიდთა კოოპერაციის საწარმოებმა 1946 წელს გეგმა 116,9 პროცენტით შეასრულეს, ხოლო ამ წლის 8 თვის მანძილზე გეგმა შესრულებულია 126,7 პროცენტით.

— ეს მონაცემები, — ამბობს მომხსენებელი, — მოწმობენ, რომ ხელმძღვანელი კადრები ძირითადად სწორადაა განაწილებული და ასრულებენ დაკისრებულ საქმეს.

მომხსენებელი ანალიზს უკეთებს ჩამორჩენილი საწარმოების — ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის, მარგარინის ქარხნის, № 3 აგურის ქარხნის, გაჯის ქარხნისა და სხვა საწარმოების მუშაობას, რომელნიც სისტემატურად ვერ ასრულებენ საწარმოო გეგმებს და დაასკვნის: ამ საწარმოთა მუშაობაში გაცილებით უფრო მცირე ნაკლოვანებანი იქნებოდა მათს ხელმძღვანელებს რომ სერიოზულად მოეკიდნათ ხელი კადრების შერჩევისა და განაწილების საკითხისათვის, უზრუნველეყოთ სპეციალისტების დანიშნულებისამებრ გამოყენება, განეხორციელებინათ საჭირო ღონისძიებანი მუშათა კვალიფიკაციის ასამაღლებლად და მუშახელის დენადობის აღმოსაფხვრელად.

ამ დასკვნას მომხსენებელი ფაქტებით ადასტურებს: საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოებში ამა წლის 7 თვის მანძილზე მიიღეს 270 მუშა, ხოლო გაათავისუფლეს 286. ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთაგან მიღებულია 8 კაცი, ხოლო განთავისუფლებულია 9. არანაკლებ დამაჯერებელია მეორე ფაქტიც. ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის დიდი ნაკლებობაა — 166 ინჟინრის ნაცვლად 88 ჰყავთ, საამქროების, კომპლექსური ბრიგადების 52 უფროსთა და მათ მოადგილეთაგან კი მხოლოდ 19 კაცია ინჟინერი. მიუხედავად ამისა, ადმინისტრაცია ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს ავალებს დეტალების მიწოდებას, მოთხოვნილებათა გამოწერას, ნახაზთა პირის გადაღებას, ტაბელთა შედგენას და სხვ. ქარხანა ჩამორჩენილია, სისტემატურად ვერ ასრულებს საწარმოო პროგრამას, მაგრამ არც დირექცია, არც პარტიული ორგანიზაცია არ ზრუნავს, რომ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის შემოქმედებითი აზრი მიმართონ ტექნოლოგიური პროცესის რაციონალიზაციისაკენ, მისი სრულყოფისაკენ.

ამჟამად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მასობრივ პროფესიათა კადრების მომზადებასა და გადამზადებას. ამასთან დაკავშირებით მომხსენებელი პლენუმის ყურადღებას მიაპყრობს იმას, თუ რა ნაკლოვანებანი აქვთ მუშაობაში ხელოსნო სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სკოლებს, რომლებიც კადრებს უმზადებენ ქალაქის ძირითად საწარმოებს, იმას, რომ არ ზრუნავენ, რათა სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სკოლების კურსდამთავრებულნი საწარმოებმა შეინარჩუნონ და მათ უფრო აიმაღლონ საწარმოო კვალიფიკაცია. ამხ. ლოლაძე აღნიშნავს, რომ ახალგაზრდა საწარმოო მუშაკთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა ცუდად არის დაყენებული, მაგრამ რაიკომები არ ხმარობენ ღონისძიებებს ამ მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ახალგაზრდა კადრებს რომ ყურადღებას არ უთმობენ და არ ზრუნავენ მათი აღზრდისა და სწორად გამოყენებისათვის, ამას ასეთი ფაქტიც მოწმობს: ქალაქის 14 ტექნიკუმმა 1946-47 წელს 1.088 ახალგაზრდა სპეციალისტი გამოუშვა. მაგრამ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი სპეციალობის მიხედვით როდი მუშაობს, თუმცა საწარმოები საშუალო ტექნიკური პერსონალის დიდ ნაკლებობას განიცდიან.

ამხ. ლოლაძე დაწვრილებით შეჩერდა სახალხო განათლებისა, ჯანმრთელობის დაცვის და სავაჭრო ორგანიზაციების კადრებთან მუშაობის საკითხებზე და შემდეგ პლენუმის მონაწილეთ გააცნო, თუ როგორ ასრულებს თბილისის პარტიული ორგანიზაცია საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მითითებას კადრების მიერ რუსული ენის შესწავლის შესახებ.

მოხსენების სპეციალური ნაწილი მიეძღვნა კადრების განყოფილებათა მუშაობის საკითხებს.

კადრებთან მუშაობის შესახებ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა შემდეგ ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვნად გარდაქმნეს მუშაობა ამ დარგში. მაგრამ მთელი რიგი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების კადრების განყოფილებათა მუშაობას ჯერ კიდევ ახლავს არსებითი ნაკლოვანებანი და შეცდომები. კადრების განყოფილებები ხშირად ისეთ საკითხებს ჰკიდებენ ხელს, რომლებსაც უშუალო დამოკიდებულება არა აქვთ მათ მუშაობასთან, წვრილმანებზე ხარჯავენ დროს, მხედველობიდან ეპარებათ თავიანთი მუშაობის პირველხარისხოვანი საკითხები.

კადრების არასაკმაოდ შესწავლას მოწმობს ვაკანტურ თანამდებობათა არადროულად დაკავების, ისეთ მუშაკთა დამტკიცების გაჭიანურების მრავალი ფაქტი, რომელნიც ნომენკლატურულ თანამდებობაზე მუშაობენ.

ამხ. ლოლაძე ეხება დასაწინაურებელთა რეზერვთან მუშაობის საკითხებს და აღნიშნავს, რომ, ამ უკანასკნელ წლებში მიღწეულ წარმატებებთან ერთად, პარტიული კომიტეტების მუშაობას ამ მხრივ არსებითი ნაკლოვანებანი ახასიათებს. ხშირია რეზერვის შექმნისადმი ფორმალური დამოკიდებულების, რეზერვში ისეთი ადამიანების მოუფიქრებლად და უსაფუძვლოდ ჩარიცხვის შემთხვევა, რომელთაც საამისო თვისებები არ გააჩნიათ. თუმცა დასაწინაურებელთა რეზერვი არსებობს, მაგრამ პარტიული კომიტეტები ამ რეზერვიდან როდი იყენებენ საჭირო კადრებს. ბერიას რაიონში დასაწინაურებელთა რეზერვში რაიკომს ჰყავს 67 კაცი, მაგრამ თვითონ რაიკომის აპარატში 3 ინსტრუქტორის თანამდებობა დაუკავებელია.

შემდეგ ამხ. ლოლაძე ლაპარაკობს დასაწინაურებელთა რეზერვთან პარტიის საქალაქო კომიტეტის კადრების განყოფილების მუშაობის ნაკლოვანებებზე, იმაზე რომ საქალაქო კომიტეტის სხვა განყოფილებათა მუშაკები სათანადო მონაწილეობას არ იღებენ დასაწინაურებელთა რეზერვის შექმნაში, რადგან ეს კადრების განყოფილების კერძო საქმედ მიაჩნიათ.

თავისი მოხსენების დასასრულს ამხ. ლოლაძე პლენუმის მონაწილეთა ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ საჭიროა ყოველმხრივ გაძლიერდეს მუშაობა ჩვენი კადრების იდეოლოგიური გამოწრთობისათვის, ბოლშევიკური პრინციპულობის სულისკვეთებით მათი აღზრდისათვის.

* * *

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა გააფართოვეს და შეავსეს მოხსენებაში აღძრული საკითხები.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგმა დიმიტროვის სახელობის ქარხანაში ამხ. **ვ. გოგლიძემ** პლენუმს უამბო, თუ რა წარმატებით შეასრულა დიმიტროვის სახელობის ქარხნის კოლექტივმა მთავრობის პასუხსაგები დავალება და ამაში რა როლი ეკუთვნის კადრების სწორ განაწილებას კოლექტივის მთელი შემოქმედებითი ძალების მობილიზებას და ამასთან ერთად გამოაშკარავა ქარხნის მუშაკთა კადრების მომზადებისა და აღზრდის სერიოზული ნაკლოვანებანი.

ქარხანაში დიდია მუშახელის, უმთავრესად ახალგაზრდობის, დენადობა. აქ, — ამბობს ამხ. გოგლიძე, — თავი იჩინა იმან, რომ პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები ჯეროვან აღმზრდელობით მუშაობას არ ეწევიან ახალგაზრდობაში. ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილი თავის თავზეა მინებებული, მას სათანადო ყურადღებასა და დახმარებას არ უწევენ საამქროთა და უბანთა უფროსები, ოსტატები. ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ოსტატებისა და საამქროთა და უბანთა უფროსების უხეში, უგულებელმყოფელი დამოკიდებულება მოწაფეებისა და ახალგაზრდა მუშებისადმი. საზოგადოდ ქარხანაში არის უხეშობა და თავდაუჭერლობა კადრების მიმართ, ამასთან ამ მხრივ ცუდ მაგალითს იძლევა ქარხნის დირექცია.

ამხ. გოგლიძე ლაპარაკობს ქარხნის პარტიული ორგანიზაციის ღონისძიებებზე დენადობის ლიკვიდაციის დარგში და. დაწვრილებით ეხება კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხებს. პარტკომის ინიციატივით წესრიგზეა მოყვანილი კლუბები როგორც ქარხნის ტერიტორიაზე, ისე მუშათა დაბებში. № 7 დაბაში კლუბი ახლად შექმნილია. სისტემატურად იმართება ლექციები, საერთო საცხოვრებლებში ეწყობა თვითშემოქმედების საღამოები.

— პარტკომის ყურადღება, — ამბობს შემდეგ ამხ. გოგლიძე, — მიპყრობილია ამჟამად ქარხნის ინჟინერტექნიკური კადრების ტექნიკური დონის ამაღლებისადმი. პარტიული კომიტეტის რჩევითა და დახმარებით ინჟინერმა ამხ. კოჩინაშვილმა დაიცვა დისერტაცია ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. მის მაგალითს მიბაძეს სხვა ინჟინრებმაც. მაგრამ ჩვენი კადრების ტექნიკურ და პოლიტიკურ ზრდას ხელს უშლის ჩვენი ქარხნის არანორმალური მუშაობა. იერიშობანა, რაც აქ მუშაობის სტილი გახდა, იმას იწვევს, რომ ქარხნის კადრები სწორად ვერ ანაწილებენ დროს, მოკლებული არიან შესაძლებლობას იმუშაონ თვითგანათლებისათვის.

პარტიის ბერიას რაიკომის მდივანმა ამხ. **ა. გიგოშვილმა** თავისი გამოსვლა მიუძღვნა კადრების განყოფილებათა მუშაობის საკითხებს. მან აღნიშნა, რომ ხშირად რაიკომის კადრების განყოფილებანი იზოლირებულად მუშაობენ. მაშინ როცა ყველა განყოფილებამ და პირველ რიგში პროპაგანდისა და საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ კადრების შერჩევასა და განაწილებაში. მაგრამ ადგილებზე არსებობს არასწორი წარმოდგენა, რომ სპეციალურ განყოფილებაში კადრების შერჩევისა და დანიშვნის საქმის თავმოყრა ათავისუფლებს სხვა განყოფილებებს კადრებთან მუშაობისაგან. კადრების განყოფილებანი მოკლებული არიან სხვა განყოფილებათა დახმარებას, ეწევიან მიმდინარე მუშაობას, რომელსაც ხშირად უშუალო დამოკიდებულება არა აქვს მათ ამოცანებთან, ცდილობენ რაც შეიძლება მალე დააკმაყოფილონ ამა თუ იმ საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციის მრავალი განაცხადი, ხოლო ამასთან არც თუ იშვიათად მხედველობიდან უშვებენ ბევრ მნიშვნელოვან საკითხს, ცალმხრივად აქვთ გაგებული თავიანთი ფუნქციები, ჯეროვნად ვერ აფასებენ თავიანთ ორგანიზატორულ როლს კადრებთან მუშაობაში. სწორედ ამით აიხსნება დასაწინაურებელთა რეზერვთან მუშაობის სისუსტე.

შემდეგ ამხ. გიგოშვილი ამბობს, რომ კადრების შეუსწავლელობა, კადრებთან ჯეროვანი მუშაობის არარსებობა იწვევს საქმიანი და პოლიტიკური თვისებების მიხედვით მუშაკთა შერჩევის სტალინური პრინციპის დარღვევას. ხშირია, რომ მუშაკი, რომელმაც სახელი გაიტეხა ერთ სამუშაოზე, მექანიკურად გადაჰყავთ მეორეზე. ეს განსაკუთრებით ეხება სავაჭრო ორგანიზაციებს და საქართველოს კოოპინკავშირის სისტემას.

ამხ. გიგოშვილმა თავისი გამოსვლის მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა რაიონის ინტელიგენციაში იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს. ფართო მასშტაბი მიიღო სალექციო პროპაგანდამ, მნიშვნელოვნად გაფართოვდა კონსულტაცია იმ ამხანაგების დასახმარებლად, რომლებიც თვითგანვითარებაზე მუშაობენ. მიუხედავად ამისა, — ამბობს ამხ. გიგოშვილი, — ჯერ კიდევ არასაკმაო ზრუნვა ინტელიგენციის პოლიტიკური განათლებისათვის. არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ხელოვნების მუშაკებისა და პედაგოგებისათვის ამას წინათ შექმნილი მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტები, სადაც ძირითადად მეორეხარისხოვანი და ტექნიკური მუშაკები მეცადინეობენ. რაიონის სამეცნიერო დაწესებულებათა, მწერალთა კავშირის, თეატრებისა და სხვა შემოქმედებითი ორგანიზაციების პარტიულ ორგანიზაციებში ჯერაც სათანადოდ არ არის გაშლილი კრიტიკა და თვითკრიტიკა, ყოველთვის როდი იჩენენ ბოლშევიკურ შეურიგებლობას სამეცნიერო და შემოქმედებითი მუშაობის ნაკლოვანებებისადმი, რაც ჯერ კიდევ მრავალია.

— ახალი კადრების მომზადების, მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლების ამოცანას 26 კომისრის სახელობის ქარხანაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეთმობა ახალი სახის პროდუქციის გამოშვების ათვისებასთან დაკავშირებით, — ამბობს ქარხნის დირექტორი ამხ. **ა. მელაძე**. — როცა მუშაობა დავიწყეთ კადრების მასობრივი მომზადებისა და გადამზადების საკითხებზე, ჩვენ ყურადღება მივაქციეთ იმას, რომ ტექმინიმუმის პროგრამა არ შეესაბამება სტახანოვურ პრაქტიკას. ამ შეუსაბამობის აღმოფხვრამ, ჩვენი ქარხნისა და სხვა ქარხნების სტახანოველთა გამოცდილების ფართო პოპულარიზაციამ ერთბაშადვე მოგვცა შესამჩნევი შედეგი. ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად იმართება ლექციები და მოხსენებები სპეციალურ თემებზე, ეწყობა მეცადინეობა საამქროთა ოსტატებთან და უფროსებთან. დიდ ეფექტს იძლევა ინჟინერტექნოლოგთა და კონსტრუქტორთა ერთობლივი შემოქმედებითი მუშაობა სტახანოველებთან.

სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ამხ. **ა. ხორავამ** თავისი სიტყვა მიუძღვნა ხელოვნების მუშაკთა კადრების მომზადების საკითხებს.

მან სთქვა, რომ თეატრალურ ინსტიტუტს — ძირითად სასწავლებელს, რომელიც კადრებს ამზადებს საქართველოს თეატრებისათვის — არ მოეპოვება მტკიცე სასწავლო გეგმა. სასწავლო დისციპლინათა პროგრამები განუწყვეტლივ იცვლება. სტუდენტები მეტად დატვირთული არიან ლექციებით, რის გამო მათ სრულიად არ რჩებათ დრო დამოუკიდებელი შემოქმედებითი მუშაობისათვის. თეატრალურ ახალგაზრდობასთან პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის დონე ჯერ კიდევ დაბალია. არ სწარმოებს საკმაო ბრძოლა ჩამორჩენილ განწყობილებათა ცალკეული გამოვლინების წინააღმდეგ. შემდეგ ამხ. ხორავა ამბობს, — რომ აქტიორთა კადრები იქსაქსება. ისინი არასაკმაოა. ამავე დროს ინსტიტუტის აღზრდილთა მნიშვნელოვანი ნაწილი მუშაობს არა თავის სპეციალობის მიხედვით. ეს მნიშვნელოვანწილად იმის შედეგია, რომ არ ხორციელდება სათანადო მომთხოვნელობა ინსტიტუტში მიღების დროს. ხშირად ნიჭიერ ახალგაზრდობასთან ერთად ინსტიტუტში იღებენ ისეთ ადამიანებს, რომელთაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ ხელოვნებასთან.

შემდეგ ამხ. ხორავა პლენუმის ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ საჭიროა უფრო სერიოზულ ღონისძიებათა განხორციელება თეატრალური ხელოვნების დარგის სამეცნიერო კადრების შემდგომი ზრდისათვის.

მშრომელთა დეპუტატების ქალაქის საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგემ ამხ. **ნ. ბარკალაიამ** პლენუმს უამბო, თუ რა მუშაობა ხორციელდება იმ ექიმთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად, რომლებიც მომსახურებას უწევენ ქალაქის მოსახლეობას. თავისი გამოსვლის ძირითადი ნაწილი მან დაუთმო ჯანმრთელობის დაცვის კადრებთან მუშაობის საკითხებს. — სახალხო ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზატორებისადმი მოთხოვნები, — სთქვა მან, — დღითი დღე მატულობს, მაგრამ ამ კადრების შერჩევასა და აღზრდას ჯერაც არ ეთმობა სათანადო ყურადღება. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებაში დღემდე ცოტას მუშაობენ ხელმძღვანელი კადრების შერჩევის, შესწავლისა და მომზადების საკითხებზე. მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანს დაიწყო დასაწინაურებელთა რეზერვის შექმნა.

პარტიის მოლოტოვის რაიკომის მდივანმა ამხ. **გ. ლუარსაბოვმა** ილაპარაკა რაიკომის მიერ გაწეულ მუშაობაზე სავაჭრო ორგანიზაციათა შესწავლისა და შემოწმების დარგში. შემოწმებამ ცხადჰყო, რომ სავაჭრო ქსელში ხშირად მიძვრებიან ყალთაბანდები და საეჭვო პირნი. პარტორგანიზაციათა წინადადებით სამუშაოდან მოხსნილ იქნა 90-ზე მეტი კაცი, რომლებიც მხილებულ იქნენ საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევაში. სავაჭრო ქსელი განმტკიცებულია შემოწმებული, საიმედო კადრებით. მაგრამ ჩვენს მუშაობას დამთავრებულად ვერ ჩავთვლით. საჭიროა სავაჭრო ქსელის შემდგომი შემოწმება და გაწმენდა. ამასთან დაკავშირებით ამხ. ლუარსაბოვმა პლენუმის ყურადღება მიაპყრო იმას, რომ რაიონის პარტიული ორგანიზაციების მუშაობას ამ მხრივ ყოველთვის როდი უწევენ დახმარებას სავაჭრო ორგანიზაციები. კერძოდ, თბილისის პურვაჭრობის დირექცია ყოველთვის არ იღებს ქმედით ზომებს იმისათვის, რომ გამოავლინოს და პასუხისგებაში მისცეს პურის დუქნების მუშაკები, რომლებსაც ბოროტმოქმედება ბრალდებათ.

შემდეგ ამხ. ლუარსაბოვი ლაპარაკობს კადრებთან პარტიული მუშაობის შესახებ. პარტიული აქტივის მნიშვნელოვანი ნაწილი რაიონში დაწინაურებულია ამ ცოტა ხნის წინათ და არა აქვს პარტიული მუშაობის გამოცდილება. ეს კიდევ უფრო ადიდებს რაიკომის პასუხისმგებლობას მათთან მუშაობისათვის. ამხ. ლუარსაბოვმა აღნიშნა ამ მხრივ განხორციელებული ღონისძიებანი და ამასთანავე აღიარა, რომ კადრებთან მუშაობის ძირითადი ნაკლოვანებანი იმით აიხსნება, რომ რაიკომი მცირე ყურადღებას უთმობს დასაწინაურებელთა რეზერვს, არასაკმაოდ იცნობს ამ რეზერვს. მხოლოდ ამით აიხსნება, მაგალითად, ის ფაქტი, რომ ორ შემთხვევაში პირველადი ორგანიზაციების მდივანთა კანდიდატურები, რომლებიც რეკომენდებული იყო რაიკომის მიერ, გაშავებულ იქნა ფარული კენჭისყრის დროს.

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს რწმუნებულმა საქართველოს რესპუბლიკაში ამხ. **ა. გიორგაძემ** თავისი გამოსვლა მიუძღვნა პროფკავშირულ კადრებთან მუშაობის საკითხებს. მან პლენუმს მოახსენა ამ მხრივ განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ და აღიარა, რომ ამ მუშაობაში არის ფორმალიზმი და ბიუროკრატიზმი. მაგრამ პლენუმის მონაწილეებმა ამხ. გიორგაძის გამოსვლიდან ვერ გაიგეს, როგორ მონაწილეობს ისეთი მასობრივი ორგანიზაცია, როგორიც პროფკავშირია, მუშათა კადრების მომზადებასა და აღზრდაში მრეწველობისა და ტრანსპორტისათვის, ინტელიგენციასთან მუშაობაში.

თბილმშენის ტრესტის მმართველმა ამხ. **კ. მორეტიმ** პლენუმის მონაწილეთა ყურადღება მიაპყრო ქალაქის მრავალრიცხოვანი სამშენებლო ობიექტებისათვის კადრების მომზადებისა და აღზრდის ამოცანას. მან სთქვა, რომ მშენებელ მუშათა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა სუსტადაა გაშლილი. საჭიროა პარტიისა და კომკავშირის რაიკომებმა მეტი ყურადღება დაუთმონ მუშაობას მშენებელთა კადრების აღზრდისათვის.

* * *

კამათის დამთავრების შემდეგ პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება განხილულ საკითხზე.

---

დიდი ოქტომბრის XXX წლისთავის შესახვედრად

## ასრულებენ პირობას

რაც დრო გადის, მით უფრო აძლიერებენ მუშაობას სამტრედიელი მეკონსერვეები საოქტომბროდ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესასრულებლად. მესამე კვარტალის გეგმა მათ 20 სექტემბრისათვის გაანაღდეს, ხოლო საერთო პროდუქციის გამოშვების მხრივ უზრუნველჰყვეს 11 თვის გეგმის შესრულება.

მეკონსერვეებს გადაწყვეტილი აქვთ 1947 წლის გეგმა ოქტომბრის პირველი დეკადის ბოლოსათვის შეასრულონ. წლიური გეგმის ანგარიშში უკვე გამოშვებულია 827.000 ქილა კომპოტი, 167.000 ქილა მურაბა, 416.000 ქილა ჯემი და 747.000 ქილა ტომატ-პიური.

ვ. კოპალეიშვილი
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

## გამარჯვებული საამქრო

თბილისელ მკერავებს შორის საოქტომბროდ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში ყველას გაუსწრო პირველი სამკერვალო ფაბრიკის პირველი საამქროს კოლექტივმა (საამქროს უფროსი ო. ვაშაკიძე), რომელმაც 1947 წლის საწარმოო გეგმა 20 სექტემბერს გაანაღდა.

გამარჯვებული საამქროს მუშებმა იკისრეს 7 ნოემბრისათვის სამშობლოს საჩუქრად მიუძღვნან წლიური გეგმის გადამეტებით გამოშვებული 250.000 მანეთის პროდუქცია. ახალი ვალდებულების გასანაღდებლად სანიმუშოდ მუშაობენ სტახანოველი მკერავები ვ. გაგეჭკორი, ს. კემულარია, ნ. საადიევა და ო. მერაბიშვილი.

## საქართველოს ოქრო

საქართველოს ოქროსმაძიებელნი, წარმატებით ასრულებენ დიდი ოქტომბრის 30 წლისთავის შესახვედრად ნაკისრ ვალდებულებებს. საქართველოს ოქროს მაძიებლებმა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ივლისის მაჩვენებლების მიხედვით მესამე ადგილი დაიკავეს.

ცხრა თვის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. უბანმა, რომლის უფროსია ინჟინერი ზურაბ აბაშიძე, წლიური გეგმა 6 ივლისისათვის შეასრულა და იკისრა ვალდებულება მეორე წლის გეგმა შეასრულოს ოქტომბრის 30 წლისთავისათვის. ამ უბნის ბრიგადირი გორგომა გეგმას 500 პროცენტით ასრულებს. ოქროს მადნის წარმოებამ, სადაც უფროსია ინჟინერი იროდიონ ნიჟარაძე, წლიური გეგმა 9 აგვისტოსათვის შეასრულა. მაღალ საწარმოო შედეგებს მიაღწია აგრეთვე უბანმა, რომლის უფროსია ინჟინერი ლავრენტი ყუფარაძე.

საქართველოს ოქროს საძიებო კომბინატის სახელზე (დირექტორი მ. ელიოზარაშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი გ. კვირიკაძე, მთავარი ინჟინერი რ. ჯაფარიძე) მიღებულია დეპეშა, რომ აგვისტოს მუშაობის შედეგთა მიხედვით საქართველოს ოქროს მაძიებლებს პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიამ მიაკუთვნეს საბჭოთა კავშირში მესამე ადგილი და ფულადი პრემია.

## შრომითი რეზერვების არსებობის 7 წლისთავი

2 ოქტომბერს შესრულდა სახელმწიფო შრომითი რეზერვების სისტემის არსებობის შვიდი წლისთავი. თბილისში ეს დღე აღინიშნა საქართველოს სსრ შრომითი რეზერვების სამმართველოს და საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის მიერ მოწვეული საზეიმო სხდომით.

შვიდი წლის განმავლობაში შრომითი რეზერვების რესპუბლიკური სამმართველოს მიერ გაწეულ მუშაობაზე მოხსენებით გამოვიდა სამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. კ. მიქიაშვილი. შვიდ წელიწადში შრომითი რეზერვების სისტემამ საქართველოში მოამზადა და მრეწველობას გადასცა 30.000-ზე მეტი მაღალკვალიფიციური მუშა, რომლებმაც სწავლის პერიოდში შესძლეს მისცეს 41.000.000 მანეთის პროდუქცია.

ყოველწლიურად იზრდება შრომითი რეზერვების სკოლებისა და სასწავლებლების რიცხვი. 1940 წელს საქართველოში სულ 22 საფაბრიკო-საქარხნო სკოლა და სახელოსნო სასწავლებელი იყო. გასულ წელს მუშაობდა 50 სკოლა და სასწავლებელი. წელს ამ ქსელს შეემატება 13 ახალი სკოლა.

კომუნისტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა მშენებლობა

# სასოფლო საბჭო და კოლმეურნეობები

...ოდი სამუშაოებია ახლა საკოლ...ურნეო სოფელში: საშემოდგომო ...-თესვა, რთველი, სიმინდის მოსავ...ს აღება, საშემოდგომო სამუშაოები ...რუსების პლანტაციებში. ამ სამუ...თა წარმატებით შესრულება, ცხა..., ბევრად არის დამოკიდებული სა...ლო საბჭოზე, მის ხელმძღვანელო.... მართალია, როგორც თავის დრო...ამხ. მ. კალინინმა აღნიშნა, „...სა...ლო საბჭოს თავმჯდომარე ვერ ...ცვლის, მით უფრო ვერ შეენაცვ...ბა კოლმეურნეობის თავმჯდომა..., ბრიგადირს, მტს-ისა თუ საბჭოთა ...რნეობის დირექტორს“, მაგრამ ...ი წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფ...ბის თვალს, იგი თვალყურს უნდა ...ვნებდეს, ყველაფერი კეთდება თუ ... თესვის უკეთესად ჩატარებისათ....

...სოფლო საბჭომ თავის სამოქმედო ...ნზე, ამჟამად თესვასთან დაკავში...ით უნდა მიაღწიოს იმას, რომ თვი...ლი კოლმეურნეობა უზრუნველყო... იქნას გაწმენდილი, კონდიციამდე ...ნილი და შემოწმებული მაღალხა...ხოვანი ჯიშის თესლით, იარაღ...ანებითა და გამწევი ძალით. მან ...ი უნდა შეუწყოს კოლმეურნეო...ში შრომის უკეთ მოწყობას, დის...ლინის განმტკიცებას, სტახანოველ...მუშაობის გამოცდილების დანერ..., მოსავლიანობის ზრდას, ჩამორ...ლთა აყვანას მოწინავეთა დონემ.... სასოფლო საბჭოს შეუძლია და კი...აც უნდა დაეხმაროს კოლმეურნეო...ა ხელმძღვანელებს თავისი გამოც...ებით, მითითებებით, გამოიყენოს ...ხელში არსებული ყველა შესაძ...ლობანი.

...როგორ ასრულებს ამ ამოცანებს ხა...ის რაიონის ალის სასოფლო საბ...? სასოფლო საბჭოში შემავალ სოფ...ში 11 კოლმეურნეობაა, რომლებ... 838 კომლია გაერთიანებული. აქ ... 25-საწოლიანი საავადმყოფო, ერ...საშუალო, ორი არასრული საშუა... და 8 დაწყებითი სკოლა, აფთიაქი, ...ბ-სამკითხველო, კინოსა და აგუ...ქარხნები, საბავშვო ბაგები, ბაღე.... სოფლის საბჭოს თავმჯდომარედ ...სიმონ მაისურაძე მუშაობს. მას ამ ...მდებობაზე 14 წლის მუშაობის ...ი აქვს. ამ ხნის განმავლობაში მან ...მელთა სიყვარული და პატივის...ა დაიმსახურა.

...სოფლო საბჭო თავისი მუშაობის ...ცესში ხშირად იხილავს ისეთ სა...ებს, როგორიცაა: ხვნა-თესვა, ვე...ბის დამუშავება, საგზაო მშენებ...ა, სოფლის სანიტარული მდგომა...ბა, ბრძოლა მეხილეობის განვითა...სათვის, შაქრის ჭარხლის პლანტა...ბის მოვლა, სასწავლო წლისათვის ...ების მომზადება, მოსავლის აღე...თვისა და სილოსის ჩადება, სა...ჭიროფო დამზადებათა გეგმების შეს...ება, ფრონტზე დაღუპულთა ოჯა...სადმი დახმარება და მრავალი .... სულ წელს ჩატარებულია სასოფ... საბჭოს აღმასკომის 18 სხდომა.

...რძოდ, 29 აგვისტოს სხდომაზე სა...ლო საბჭომ განიხილა მზრალად ...ს და ანეულის დამუშავების მიმ...რეობა, აგრეთვე საშემოდგომო ...ის, შაქრის ჭარხლისა და სიმინდის მოსავლის აღება-გადაზიდვისათვის მზადება. სხდომაზე გამოირკვა, რომ, აღნიშნული დროისათვის კოლმეურნეობებში გეგმით გათვალისწინებული 841 ჰექტარიდან უკვე მოხნული იყო 517 ჰექტარი მზრალი, აღინიშნა აგრეთვე, რომ სოფელ ქვემო ბროლოსნის კოლმეურნეობაში უხარისხოდ ხნავდნენ. კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები, გარდა ბრილის, დუმაცხოვისა და ქინძათისა, სათანადო ზომებს არ იღებდნენ ნაკვეთებში ჩირგვების გასაჩეხავად, კორდების ამოსაძირკვად და ფართობების გასასუფთავებლად.

სასოფლო საბჭომ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებსა და ბრიგადირებს დაავალა: მაქსიმალურად გამოიყენონ მთელი მუშა გამწევი ძალა, დაიცვან ხვნის ხარისხი და ყოველგვარი ზომები მიიღონ გეგმის 10 სექტემბრამდე შესასრულებლად. ამასთან საჭირო რაოდენობით გამოჰყონ მუშახელი ნაკვეთების გასასუფთავებლად. შაქრის ჭარხლის მთესველ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს საბჭომ დაავალა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ხარისხს: ხვნა ჩაატარონ სულ მცირე 25-27 სანტიმეტრის სიღრმეზე, წინასწარ ფართობში აგროწესებით გათვალისწინებული რაოდენობით შეიტანონ ადგილობრივი და მინერალური სასუქები. საბჭომ სპეციალური დავალებები მისცა აგრეთვე აგრონომ ამხ. ნოზაძეს და აგროტექნიკოს გოგალაძეს.

9 სექტემბერს სასოფლო, საბჭოს სესიამ განიხილა საშემოდგომო თესვისათვის მზადყოფნის, შაქრის ჭარხლის, სიმინდისა და ყურძნის მოსავლის აღების საკითხები. აღინიშნა ბრილის კოლმეურნეობის ჩამორჩენა თესლის გაწმენდაში, ზოგან საჭარხლე ნაკვეთებში მისასვლელი გზების მოუმზადებლობა და სხვ. სესიამ თავის დადგენილებაში დასახა ამ ნაკლოვანებათა გამოსწორების გზები, გეგმების ვადამდე გადაჭარბებით შესრულების საშუალებები. დადგენილებაში ყურადღება გამახვილებულია შრომის ორგანიზაციის საკითხებზე. კონკრეტულად არის მითითებული, თუ ვინ, სად, როდის და რა სამუშაო უნდა შეასრულოს.

სასოფლო საბჭო, როგორც სესიის, ისე აღმასკომის დადგენილებებს საჭიროების მიხედვით აცნობს კოლმეურნეებს. აღმასკომს კარგად ეხმარება მუშაობაში XVIII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. დ. გვარამაძე, რომელიც ამავე დროს დეპუტატიც არის და აღმასკომის წევრიც. იგი ხელმძღვანელობს სასოფლო საბჭოსთან არსებულ მემინდვრეობის მუდმივმოქმედ კომისიას. მისი ხელმძღვანელობით კომისია ხშირად აყენებს საკითხებს სესიისა და აღმასკომის სხდომებზე.

ალის სასოფლო საბჭოში შემავალი კოლმეურნეობები უკვე ამთავრებენ საშემოდგომო ხვნა-თესვას, მოსავლის აღებას. ისინი დიდი ოქტომბრის XXX წლისთავს ხვდებიან ყველა გეგმის ვადამდე შესრულებით.

კოლმეურნეობათა ამ წარმატებებში თავისი წვლილი მიუძღვის სასოფლო საბჭოს აღმასკომს.

**ტრ. თოდრაძე**

„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი



ყვარლის რაიონი. საშემოდგომო ხვნა სოფელ ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

# შემნახველი სალაროების მუშაკებმა უნდა გააუმჯობესონ მეანაბრეთა მომსახურება

შემნახველ სალაროებში მოსახლეობისაგან თავისუფალი თანხების მასობრივად მიზიდვა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მომსახურებას უწევენ შემნახველ სალაროთა მუშაკები მეანაბრეებს. ცნობილია, რომ იქ, სადაც შემნახველი სალარო კარგად მუშაობს, სადაც კლიენტ-მეანაბრეებს კარგად უწევენ მომსახურებას, თანხების მიზიდვის მხრივაც წარმატებები აქვთ, და პირიქით, მეანაბრეები გაურბიან იმ სალაროებში თავისუფალი თანხების შეტანას, სადაც მათ უსულგულოდ ეპყრობიან.

შემნახველი სალაროების მუშაკთა მოქნილ, გამართულ მუშაობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ, რაც დრო გადის, მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობა თანდათან იზრდება, მატულობს თავისუფალი თანხების მიზიდვის შესაძლებლობაც. სამამულო ომის წინა ხანებში, მაგალითად, საქართველოს სსრ შემნახველ სალაროებში შეტანილი ანაბრების თანხა 110 მილიონ მანეთს აღწევდა, ამჟამად ეს თანხა 191 მილიონ მანეთს აჭარბებს, ხოლო ჩვენი სალაროები რომ უკეთესად მუშაობდნენ, გაცილებით მეტი თავისუფალი თანხები იქნებოდა შეტანილი.

უკანასკნელ დროს რესპუბლიკის კურორტებზე, დიდ საწარმოებთან, სოფლად და ქალაქად გაიხსნა 40 ახალი შემნახველი სალარო. სულ ამჟამად საქართველოში 546 შემნახველი სალარო მუშაობს. თუ ეს დიდი ქსელი კარგად და გამართულად იმუშავებს, შესაძლებლობა მოგვეცემა შესამჩნევად გავაძლიეროთ ახალი სტალინური ხუთწლედის მშენებლობების დაფინანსება, ათეულ მილიონობით მანეთი თანხა მივცეთ სახელმწიფოს საფინანსო პოლიტიკის განსამტკიცებლად.

საქართველოში ბევრია ისეთი შემნახველი სალაროები, რომლებიც სანიმუშოდ მუშაობენ, მშრომელებს კარგ მომსახურებას უწევენ. ერთ-ერთი ასეთი მოწინავეა გორის რაიონული შემნახველი სალარო (გამგე ამხ. ბეთლემიძე), რომელმაც მეორე კვარტალში მოსახლეობისაგან საგრძნობლად დიდი თანხები მიიზიდა ანაბრების სახით. კარგად მუშაობენ აგრეთვე შემნახველი სალაროები ქუთაისში, ახალციხეში, თელავში. მაგრამ არიან ისეთი შემნახველი სალაროებიც, სადაც ჯერ კიდევ ვერ გაართვეს საქმეს თავი. ასეთია, მაგალითად, ბოგდანოვკის (გამგე ამხ. მურადოვი), ყაზბეგის (გამგე ამხ. გიგაური) და წალკის (გამგე ამხ. მარტასოვი) რაიონული შემნახველი სალაროები.

ანაბრების მიზიდვის დარგში ჩვენს შემნახველ სალაროებს ჯერ კიდევ ბევრი რამ რჩებათ გასაკეთებელი. გეგმით, მიმდინარე წლის განმავლობაში რესპუბლიკის შემნახველ სალაროებში ანაბრების სახით შეტანილი უნდა ყოფილიყო დაახლოებით 38 მილიონი მანეთი. წლის პირველ ნახევარში შეტანილ ანაბართა თანხამ 28 მილიონ 200 ათას მანეთს გადააჭარბა. საჭიროა, რათა ერთი წუთითაც არ შევანელოთ მუშაობა და მივაღწიოთ დასახული გეგმის შესრულებას დიდი ოქტომბრის XXX წლისთავისათვის.

შემნახველ სალაროთა მუშაკებს ევალებათ მკვეთრად გააუმჯობესონ სახელმწიფო სესხთა ობლიგაციების მეპატრონეთა მომსახურებაც. ამ დარგში მუშაობის გადაჭრით გადახალისებას ახლა უდიდესი მნიშვნელობა აქვს. შემნახველი სალაროს მუშაკთა ღირსების საქმეა მათ სამოქმედო ზონაში არ დასტოვონ არც ერთი მშრომელი, რომელსაც შემოწმებული არ ექნება სახელმწიფო სესხთა მომგებიანი ობლიგაციები.

**ა. შტეინბერგი**

საქართველოს სსრ შემნახველ სალაროთა სამმართველოს ოპერაციული განყოფილების უფროსი

კ ი ნ ო

# ფილმი მოსკოვზე

დიადი და წარმტაცია ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი. მოსკოვი გულია მრავალეროვანი ძლევამოსილ საბჭოთა კავშირისა, ცენტრი ახალი სამყაროსი. მოსკოვში ცხოვრობდა და მუშაობდა ვ. ი. ლენინი, მოსკოვში ცხოვრობს და მუშაობს დიდი სტალინი.

7 სექტემბერს საბჭოთა კავშირის ხალხებმა უდიდესი ზეიმით იდღესასწაულეს დედაქალაქის 800 წლის იუბილე. დოკუმენტური ფილმების ცენტრალურმა სტუდიამ მოსკოვის 800 წლისთავთან დაკავშირებით გამოუშვა ახალი შესანიშნავი ფილმი — „მოსკოვი—სსრ კავშირის დედაქალაქი“*).

ფილმის პირველ კადრებში მაყურებლის თვალწინ იშლება მოსკოვის წარმტაცი პანორამა უზარმაზარი შენობებით, ფართოდ გადაჭიმული ქუჩებით, ვეებერთელა ფაბრიკა-ქარხნების კორპუსებით.

ძველისა და ახლის დაპირისპირების ფონზე ნათლად მოჩანს ის უდიდესი ცვლილებები, რაც მოსკოვმა განიცადა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. ფილმში გამოყენებულია რევოლუციამდელი კინო-ქრონიკის მასალები, სადაც ნაჩვენებია ძველი მოსკოვის ვიწრო და ჭუჭყიანი ქუჩები. დღეს ამ ადგილზე აღმართულია სასტუმრო „მოსკოვისა“ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესანიშნავი შენობები.

მოსკოვის ისტორიაში ყველაზე დიდებული ფურცელი გადაიშალა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ.

1918 წელს მოსკოვში გადმოვიდა ვ. ი. ლენინი, საბჭოთა მთავრობა და მოსკოვი გამოცხადდა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქად. ეკრანზე ვხედავთ ლენინს კრემლის მოედანზე საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში.

სოციალისტური მშენებლობის ოცდაათი წელი შეადგენს ყველაზე უფრო გმირულს, ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავ ეპოქას დედაქალაქის ცხოვრებაში. ეკრანზე მთელი თავისი სიდიადით მოჩანს როგორ სრულდება მოსკოვის რეკონსტრუქციის გენიალური სტალინური გეგმა. მაყურებელი ხედავს უახლესი ტექნიკით აღჭურვილ ფაბრიკებსა და ქარხნებს, მოსკოვ-ვოლგის არხს, მრავალ ასეულ ახლადაგებულ სახლებს, დედაქალაქის სიამაყეს, — მსოფლიოში ყველაზე ლამაზ და კეთილმოწყობილ მეტროპოლიტენს. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე დედაქალაქში შექმნილია ასობით სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, ლაბორატორიები, საკონსტრუქტორო ბიუროები. აქ მუშაობს საბჭოთა მეცნიერების შტაბი—სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია.

შემდეგ კადრებს კვლავ გადავყავართ ჩვენი სამშობლოს წარსულში. ფილმში ნაჩვენებია ის უდიდესი წვლილი, რაც მოსკოვმა შეიტანა რუსეთისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა თავისუფლებისათვის ბრძოლაში. მოსკოვი საუკუნეთა მანძილზე ედგა რუსი ხალხის გმირულ ბრძოლას უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ. მას მსოფლიო არაერთხელ უხსნია ბარბაროსული ურდოების შემოსევისაგან. მოსკოვის კედლებთან ბევრჯერ პპოვეს სამარე უცხოელმა დამპყრობლებმა.

ეკრანზე ცოცხლდებიან წარსული ბრძოლის სურათები.

დიმიტრი დონსკოის რაზმებმა კულიკოვის ველზე დაამარცხა მამაი ყაენის ურდოები. მოსკოვმა ჩაუყარა საფუძველი თათართა ბატონობის მოსპობას. მინინისა და პოჟარსკის წინამძღოლობით რუსმა ხალხმა გაანადგურა შემოსეული დამპყრობლები. მოსკოვის კედლებთან ცეცხლსა და კვამლში ჩაჰქრა ნაპოლეონის დიდება.

1918 წელს ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთს თავს დაესხა 14 სახელმწიფო. ეკრანზე მოსჩანს წითელი მოედანი. დიდი ლენინი მგზნებარე სიტყვით მიმართავს ინტერვენტების წინააღმდეგ საბრძოლველად მიმავალ საბჭოთა მეომრებს.

შემდეგ კადრებში ნაჩვენებია მრისხანე, ბრძოლისათვის ამდგარი მოსკოვი. მტერი ქალაქის კედლებთანაა. ყველა, დიდი თუ პატარა მუშაობს ქალაქის გასამაგრებლად, ვერაგი მტრის — გერმანელ ფაშისტთა გასანადგურებლად.

1941 წლის 6 ნოემბერს დიდი სტალინი მოხსენებას აკეთებს მოსკოვის საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომაზე, ხოლო მეორე დღეს მავზოლეუმის ტრიბუნიდან დაუვიწყარი, ისტორიული სიტყვით მიმართავს საბჭოთა მებრძოლებს.

დიდი ბელადის ახლოს ჩაივლიან თოფმომარჯვებული მებრძოლები, მრისხანე საბრძოლო მანქანები. ისინი პირდაპირ მიემართებიან ბრძოლის ველზე, რათა საბჭოთა ხალხის რისხვა დაატეხონ მტერს.

ფილმში ნაჩვენებია გერმანელთა განადგურება მოსკოვის მისადგომებთან. ეკრანზე მოსჩანს ყუმბარებით გადათხრილი ბრძოლის ველი, ხამსხვრევებად ქცეული გერმანელთა საბრძოლო ტექნიკა, ტყვედჩავარდნილი ვაი-დამპყრობლების გრძელი კოლონები.

ფაშისტ ბარბაროსებზე გამარჯვება იჭედებოდა არა მარტო ფრონტზე, არამედ ზურგშიც. ეკრანზე ვხედავთ მოსკოვის ქარხნებს, სადაც მუშები მთელი თავიანთი ძალების დაძაბვით ამზადებენ იარაღს მტერზე გამარჯვებისათვის. ისინი საჰაერო განგაშის დროსაც არ სტოვებენ სამუშაოს.

1945 წელი, გამარჯვების პარადი. მავზოლეუმის ტრიბუნაზეა დიდი სტალინი. გმირთა ბატალიონებით და პოლკებით სავსეა წითელი მოედანი. აქ არიან რჩეულნი რჩეულთა შორის, მათ გაანადგურეს ფაშისტური არმია, დაიცვეს სამშობლოს მიწა-წყალი და თავისუფლება მოუტანეს ევროპის ხალხებს. პარადის მონაწილენი მხურვალედ მიესალმებიან გამარჯვების შემოქმედს, ჩვენს ბელადსა და მასწავლებელს მშობლიურ სტალინს. გამარჯვებულნი მოედანზე ყრიან ფაშისტურ დროშებს.

ფილმის უკანასკნელ კადრებში ნაჩვენებია, თუ როგორი იქნება მოსკოვი უახლოეს მომავალში. მაყურებელი გატაცებით ადევნებს თვალს გეგმით გათვალისწინებულ მოედნებს და გრანდიოზულ ნაგებობებს, რომელთა შორის ყველაზე მეტად აღსანიშნავია საბჭოების სასახლე.

უყურებთ ამ შესანიშნავ ფილმს და ერთი აზრი გიპყრობთ: ახლო მომავალში უფრო მშვენიერი, უფრო წარმტაცი იქნება ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი.

**ნ. შველიძე**

*) წითელი დროშის ორდენოსანი დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდიის ნაწარმოები. რეჟისორები — სტალინური პრემიის ლაურეატი ლ. სტეპანოვა და ფ. კისელიოვი. მთავარი ოპერატორები — სტალინური პრემიის ლაურეატები ვ. ბობრონიცკი და ს. სემიონოვი.

# თბილისის საფეიქრო ტექნიკუმი

თბილისში, ბრძოლის ქუჩაზე მაუდკამვოლის ფაბრიკის გვერდით ყურადღებას იპყრობს ორსართულიანი შენობა. იგი თბილისის საფეიქრო ტექნიკუმს ეკუთვნის.

ოცი წელია ამზადებს ეს სასწავლებელი კადრებს საქართველოს საფეიქრო მრეწველობისათვის.

ტექნიკუმის კურსდამთავრებულთა დიდმა უმრავლესობამ სწავლა განაგრძო უმაღლეს სასწავლებლებში. 118-მა კურსდამთავრებულმა ახალგაზრდამ მუშაობა დაიწყო საფეიქრო მრეწველობის ხაზით სხვადასხვა საწარმოში ხელმძღვანელ სამუშაოებზე—ფაბრიკის ტექნიკურ ხელმძღვანელებად, საამქროს უფროსებად, ოსტატებად, ქვეოსტატებად.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ტექნიკუმის მიერ აღზრდილი ახალგაზრდების თავდადებული ბრძოლა დიდ სამამულო ომში.

ტექნიკუმის ერთდროული ჟურნალი მოგვითხრობს მამაცი ოფიცრის ა. ფარცხალაიშვილის თავდადებული ბრძოლების შესახებ. ომში წასვლის წინ იგი თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის ქვეოსტატი და თბილისის სტალინის რაიონული საბჭოს დეპუტატი იყო.

სამამულო ომში გმირულად იბრძოდნენ და ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულნი არიან ტექნიკუმის კურსდამთავრებულნი: არტილერისტი ბ. ბესარაშვილი, მფრინავი ა. კაპანაძე, მფრინავი გ. ვარდანაშვილი, არტილერისტი გ. კაპანაძე — მოსკოვის, გმირული დაცვის მონაწილე, არტილერისტი ლ. მეტრეველი, მეზღვაური ი. ბაბალაშვილი—ოდესისა და სევასტოპოლის გმირული დაცვის მონაწილე, სერჟანტი ა. წიქარიძე, არტილერისტი ბ. კანდელაკი, მფრინავი გ. თადიაშვილი — მოსკოვის დაცვის მონაწილე, წითელარმიელი ვ. კალანდაძე — სტალინგრადის დაცვის მონაწილე და სხვები.

თბილისის საფეიქრო ტექნიკუმს გამოცდილი პედაგოგები ჰყავს, რომლებიც დაუღალავად მუშაობენ ახალგაზრდა კადრების აღზრდისათვის. მათ შორის არიან ვ. ფხალაძე, დ. ჯანაშვილი, ა. კორნეევა, თ. აბაშიძე, ქ. ფხაკაძე, ვ. ჯაფარიძე, პ. მშვენიერაძე, ხ. ზაქარეიშვილი და მ. ვაშაკიძე.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ინჟინერ ვ. ფხალაძის ენერგიული მუშაობა. მან ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად გამოსცა ორი სახელმძღვანელო „ქსოვის მოსამზადებელი განყოფილება“ და „მექანიკური ქსოვა“. მზად აქვს გამოსაცემად ნაშრომები — „საფეიქრო ნედლეული“ და „მატყლის დართვა“.

ტექნიკუმის მუშაობა კიდევ უფრო ნაყოფიერი იქნება, მას რომ ხელს არ უშლიდეს ბინის სივიწროვე. ტექნიკუმს საშუალება არა აქვს საკმაო რაოდენობით დადგას დაზგები, ჩაატაროს პრაქტიკული მეცადინეობა რთვაში, აბრეშუმის ამოღებასა და საზეინკლო საქმეში.

ამ საკითხს დროულად უნდა მიაქციოს ყურადღება საქართველოს სს რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობის სამინისტრომ.

**ბ. თათარიშვილი**

# ქართველი მეცნიერები ფიზიოლოგთა, ბიოქიმიკოსთა და ფარმაკოლოგთა სრულიად საკავშირო ყრილობაზე

...რამდენიმე ხნის წინათ დამთავრ...ფიზიოლოგთა, ბიოქიმიკოსთა და ...მაკოლოგთა სრულიად საკავშირო ...ლობა, რომლის მუშაობაშიც მონა...ეობა მიიღო საბჭოთა კავშირის ...ა კუთხიდან ჩამოსულმა 1.000 დე...ატმა და 500 სტუმარმა. პლენარულ ...ექციურ სხდომებზე მოსმენილ იქ...00-ზე მეტი მოხსენება.

...როგორც მოსალოდნელი იყო, ყრი...მ ცხადჰყო, რომ წარმატებით ვი...დებიან ის მიმართულებანი ფიზიო...იაში, რომლებიც შექმნეს აკადე...ებმა ი. პ. პავლოვმა და ნ. ე. ვე...ნსკიმ.

...რილობაზე გაშუქებულ იქნა უმაღ...ი ნერვული მოქმედების მანამდე ...ობი მრავალი მხარე, რაც შესწავ...ა პირობითი რეფლექსების კლა...რი მეთოდით, მაგრამ ზოგჯერ ახალ ...ერიმენტულ პირობებში, ან გამოკვ...ს უახლეს საშუალებათა გამოყე...ით, როგორიცაა თავის ტვინის ქერ...ელექტრულ პოტენციალთა ოსცი...რაფიული ჩაწერის მეთოდი. ყრი...აზე წარმოდგენილ შრომათა საგრ...ი რაოდენობა მიძღვნილი იყო გან...რების სხვადასხვა საფეხურზე მყო...ცხოველების ინდივიდუალური მოქ...ბის შესწავლისადმი მის ფილოგე...ურ ასპექტში.

...რილობაზე ნ. ე. ვედენსკის სკოლა ...ოდგენილი იყო როგორც მისი მო...ების მრავალი ლაბორატორიით, ...მთელი რიგი ახალგაზრდა მეცნიე...ით. მოსმენილ იქნა პროფესორების ... ვასილიევის, მ. ი. ვინოგრადო..., ა. ნ. მაგნიცკის, ა. ნ. კაბანოვის, ...უფლიანდის და სხვათა მოხსენე.... ყრილობაზე თავიანთი გამოკვლე...თ წარსდგნენ აკადემიკოს ლ. ა. ორ...ს სკოლა, აკადემიკოს კ. მ. ბიკო...სკოლა, სამედიცინო მეცნიერებათა ...მიის წევრის ი. პ. რაზენკოვის ...ა, აკადემიკოსი ლ. ს. შტერნი, ...კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი ხ. ს. კოშტოიანცი, დ. ი. ნასონოვი, საბჭოთა ბიოქიმიის მუშაკები — აკადემიკოსები ა. ვ. პალადინი და ი. ო. პარნასი, ბ. ი. ზბარსკი, ა. ე. ბრაუნშტეინი, შ. ი. კაპლანსკი, აგრეთვე ვ. ა. ენგელგარდტი, დ. ლ. რუბინშტეინი, დ. ე. გროძენსკი და სხვები. საბჭოთა ფარმაკოლოგების სკოლიდან მოხსენებებით გამოვიდნენ პროფესორი ვ. ი. სკვორცოვი და პროფესორი მ. პ. ნიკოლაევი.

საბჭოთა ფიზიოლოგების ქართულ სკოლას, რომელსაც აკადემიკოსი ი. ს. ბერიტაშვილი მეთაურობს, სხვა საბჭოთა ფიზიოლოგიურ სკოლებს შორის ყრილობაზე ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი ეჭირა.

პლენარულ სხდომაზე აკადემიკოსმა ი. ს. ბერიტაშვილმა წაიკითხა მოხსენება თემაზე: „ზურგის ტვინის ელექტრული პოტენციალების შესახებ“ (შრომის მონაწილენი ი. ს. ბერიტაშვილი, ა. ნ. ბაკურაძე, ა. ი. როიტბაკი). მოხსენება გამოირჩეოდა მდიდარი ფაქტიური მასალით და მეტად თვალსაჩინო ფორმით ადასტურებდა აკადემიკოს ი. ს. ბერიტაშვილის ორიგინალური ნეირონულ-ნეიროპილური კონცეფციის დებულებათა სისწორეს ძირითად ცენტრალურ ნერვულ პროცესებზე, კერძოდ, შეკავების წარმოშობის შესახებ. მოხსენებამ დიდი წარმატება მოიპოვა და გაცხოველებული კამათი გამოიწვია.

აკადემიკოსმა ი. ს. ბერიტაშვილმა ყრილობას უჩვენა თავისი მეცნიერული ფილმი თემაზე: „განწყობის როლი ცხოველთა ინდივიდურ ქცევაში“ (გამოკვლევის მონაწილენი ი. ს. ბერიტაშვილი, თ. მ. კუკავაძე, ნ. ნ. დედაბრიშვილი), რამაც ცხოველი ინტერესი გამოიწვია ყრილობის მონაწილეთა შორის როგორც ფაქტიური მასალით, ისე განსაკუთრებით მეცნიერული იდეის სიახლით, რომელიც ავტორმა საფუძვლად დაუდო ცხოველთა ქცევის შესწავლას.

მთელ რიგ სხვა საკითხებზე აკადემიკოს ი. ს. ბერიტაშვილის მრავალრიცხოვან გამოსვლებს ყრილობის მონაწილენი უდიდესი ყურადღებით ისმენდნენ. ყრილობის მონაწილეთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა აკადემიკოს ი. ს. ბერიტაშვილის განცხადებას ახალი, ხშირად სავსებით ზედმეტი, უცხოური მეცნიერული ტერმინების შექმნით გატაცების წინააღმდეგ და მეცნიერულ გამოკვლევათა სადა, გასაგები ენით გადმოცემის სასარგებლოდ, რაც ახასიათებდა რუსული ფიზიოლოგიის კლასიკოსებს.

ყრილობაზე მოხსენება წაიკითხა აგრეთვე ამ სტრიქონების ავტორმა, თემაზე: „დიდი ნახევარსფეროების ქერქში ზოგადი შეკავების შესახებ“ (შრომის მონაწილენი ი. ს. ბერიტაშვილი და დ. მ. გედევანიშვილი). თავის ტვინის ქერქში მისი პირდაპირი გაღიზიანების შედეგად ზოგადი შეკავების აღმოცენების შესაძლებლობა პირველად ნაჩვენები იყო აკადემიკოს ი. ს. ბერიტაშვილის ლაბორატორიაში. მანვე დემონსტრაცია გაუკეთა კინოფილმს თემაზე „სიმპათიკური ნერვული სისტემის გავლენის ანალიზისათვის“ (შრომის მონაწილენი კ. ი. ცინცაძე, პ. ე. ევსეევი, თ. დ. ჯავრიშვილი, გ. მ. ბახტაძე).

მოხსენებები ი. ს. ბერიტაშვილის ლაბორატორიიდან წარმოადგინეს დოცენტმა ნ. ნ. ძიძიშვილმა თემაზე: „გამოკვლევა კანის რეცეპციის შესახებ“ და დოცენტმა ლ. რ. ცქიფურიძემ თემაზე „ნორმალური კატის ნათხემის ქერქის ბიოელექტრული პოტენციალები“. ამ უკანასკნელმა ჩაატარა დემონსტრაცია კატაზე ნათხემში ქრონიკულად ჩანერგილი ელექტროდებით და აჩვენა კათოდურ ოსცილოგრაფზე ნათხემის ელექტრული მოვლენები. ნ. ნ. ძიძიშვილმა კამათში გამოსვლის დროს დამსწრეთ აჩვენა ადამიანის კანის მგრძნობიარე ნერვიდან მიღებული ოსცილოგრამები. კამათში გამოსულებმა აღნიშნეს ამ მონაცემთა თეორიული ინტერესი კანის რეცეპციის შესწავლისათვის.

მოხსენება თემაზე „კუნთოვან ქსოვილში აცეტილქოლინისა და კალიუმს შორის კავშირის შესახებ“ გააკეთა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პ. ა. ქომეთიანმა. ამ მოხსენებისადმი ინტერესი გამოწვეული იყო კუნთის აგზნებისა და შეკუმშვის პროცესთა შორის არსებული კავშირის საკითხის გადაწყვეტისადმი სწორი მიდგომით.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრმა ვ. ვ. ვორონინმა წაიკითხა მოხსენება „გულის, როგორც ღრუ ორგანოს დინამიკა“. მოხსენებაში ნაჩვენები იქნა ბიოლოგიური საკითხების — ამ შემთხვევაში გულის მოქმედების პათოფიზიოლოგიის მნიშვნელოვან საკითხთა გადაწყვეტისათვის მათემატიკის წარმატებით გამოყენების მაგალითი.

ყრილობაზე საქართველოდან წარმოდგენილი იყო აგრეთვე პროფესორ ა. ნ. ბაკურაძის მოხსენება თემაზე: „საჭმლის ზოგიერთ მომნელებელ ორგანოთა სეკრეტორული მუშაობის რეგულაციის შესახებ“ (შრომის მონაწილენი ა. ნ. ბაკურაძე, ნ. ა. ბებურიშვილი, ი. პ. გელაშვილი) და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ვ. ს. ასათიანის მოხსენება თემაზე—„ცვლილებანი ნივთიერებათა ცვლაში ზომიერი სიმაღლის მთის ჰავის ზეგავლენით“ (შრომის მონაწილენი ვ. ს. ასათიანი, მ. ს. ქართველიშვილი, ო. ვ. კეკელიძე, ვ. გ. კუნჭულია, გ. პ. ფიჩხაია).

ამ მოხსენებებმაც გამოიწვიეს ინტერესი ყრილობის მონაწილეთა შორის.

საერთო შთაბეჭდილება, რაც დარჩათ ყრილობის მონაწილეებს, ეს არის როგორც ექსპერიმენტული ტექნიკის, ისე წარმოდგენილ ნაშრომთა თეორიული დონის მნიშვნელოვანი ზრდა საკავშირო ფიზიოლოგთა წინა ყრილობებთან შედარებით. ყრილობის დელეგატები დაბრუნდნენ ადგილებზე სრული რწმენით, რომ ის შემოქმედი მეცნიერული ძალები, რომლებიც ასე თვალსაჩინოდ გამოვლინდნენ ფიზიოლოგთა, ბიოქიმიკოსთა და ფარმაკოლოგთა სრულიად საკავშირო VII ყრილობაზე, ღირსეულად შეასრულებენ მათ წინაშე დასახულ ამოცანებს.

**პროფესორი დ. გედევანიშვილი**

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

მკითხველთა წერილები

# განვაახლოთ ქართული ტექნიკური ჟურნალის გამოცემა

ჩვენი ახალგაზრდა ტექნიკური ინტელიგენციისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ტექნიკური ლიტერატურა, თუნდაც ერთი ტექნიკური ჟურნალის სისტემატურად მიწოდება, რომელშიც მოცემული იქნება ცნობები ტექნიკის ახალი მიღწევების შესახებ. ომამდე ჩვენ გვქონდა ასეთი ჟურნალი—„ტექნიკა და შრომა“, რომელსაც, მიუხედავად მრავალი ნაკლისა, გარკვეული ნაყოფი მაინც მოჰქონდა. საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის პერიოდში, გასაგები მიზეზების გამო, ამ ჟურნალის გამოცემა შესწყდა.

ახლა, ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის წარმატებით შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო შრომითი აღმავლობის პერიოდში, ტექნიკური ჟურნალის უქონლობა განსაკუთრებული სიმწვავით იგრძნობა. ჩვენ ყველა პირობა მოგვეპოვება იმისათვის, რომ განვაახლოთ „ტექნიკა და შრომას“ გამოცემა. ტექნიკური ძალები, რომლებსაც შეუძლიათ თანამედროვეობის მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი ჟურნალის გამოშვება, — გვყავს, პოლიგრაფიული ბაზაც შეიძლება გამოინახოს.

განვაახლოთ ქართული ტექნიკური ჟურნალის გამოცემა!

**ა. მასხარაშვილი**

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ელმავლების საამქროს უფროსი

# გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეორე სესია

## უხამსი მაქინაციები უშიშროების საბჭოს არამუდმივი წევრის არჩევნების გარშემო

**ნიუ-იორკი,** 1 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). უკვე მეორე დღეა, რაც გენერალური ასამბლეის სესიის პლენუმი ცდილობს გადასჭრას საკითხი, თუ რომელმა ქვეყანამ უნდა დაიკავოს უშიშროების საბჭოში პოლონეთის ადგილი, რომლის რწმუნებანიც თავდება ამა წლის ბოლოს. გუშინ, როგორც გაუწყებდით, კენჭისყრა შედეგერ მოხდა...

...მიმდინარეობდა მეურვეობის საბჭოს ორი დამატებითი წევრის არჩევნები. კენჭისყრის პირველ ტურში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 57-მა დელეგაციამ, ხმები ასე გაიყო: ფილიპინებმა მიიღეს 27, ნორვეგიამ — 23, კოსტა-რიკამ — 20, სიამმა — 15, იუგოსლავიამ — 13, ინდოეთმა — 4, შვეციამ — 2, ჩეხოსლოვაკიამ და ლიბერიამ — თითო ხმა. ამრიგად, აღნიშნული ქვეყნებიდან არცერთს არ მიუღია საჭირო უმრავლესობა — 38 ხმა. პროცედურის წესების შესაბამისად სამ შემდგომ ტურში კენჭი ეყარა მხოლოდ იმ ოთხი სახელმწიფოს კანდიდატურებს, რომლებმაც სხვებზე მეტი ხმა მიიღეს — ფილიპინების, ნორვეგიის, კოსტა-რიკასა და სიამისას, მაგრამ ვერცერთმა ამ ქვეყანამ ვერ მიიღო ხმების საჭირო უმრავლესობა. არჩევნები გადაიდო გენერალური ასამბლეის შემდეგ პლენარულ სხდომამდე, რომელიც მომავალ კვირაში შესდგება.

...ფილიპინების დელეგაციის წინადადება იმის შესახებ, რომ ესპანური ენა გამოყენებულ იქნას გენერალური ასამბლეის სამუშაო ენად, გენერალურმა ასამბლეამ ისარგებლოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური სამდივნოს სამსახურით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების სკოლების პროგრამაში შეტანილ იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტრუქტურისა და საქმიანობის შესწავლა, აგრეთვე მოეწყოს „საერთაშორისო თანამშრომლობა იმისათვის, რომ შესწყდეს იმიგრაცია, რომელმაც შეიძლება დაარღვიოს მეგობრული ურთიერთობა ქვეყნებს შორის“.

უკანასკნელი საკითხი შეიტანეს ეგვიპტის, ერაყისა და ლიბანის დელეგაციებმა.

ხვალ შესდგება ასამბლეის კომიტეტების სხდომები.

## 1 ოქტომბრის საღამოს პლენარული სხდომა

# უშიშროების საბჭოში

**ნიუ-იორკი,** 2 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ უშიშროების საბჭომ კვლავ უარჰყო განცხადებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებად ხუთი მტრული სახელმწიფოს — იტალიის, უნგრეთის, ბულგარეთის, რუმინეთისა და ფინეთის მიღების შესახებ მას შემდეგ, რაც ეს საკითხი გადასინჯულ იქნა პოლონეთის მთავრობის თხოვნით, მაშინ, როცა საბჭოთა კავშირი და პოლონეთი არაერთხელ მოითხოვდნენ ხუთივე ქვეყნის როგორც ერთიანი ჯგუფის მიღებას პოტსდამის შეთანხმებისა და სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესაბამისად, ინგლის-ამერიკის ბლოკმა საკითხის განხილვა კვლავ ჩიხში მოამწყვდია, რადგან ცდილობს...

...ნეთმა, საფრანგეთმა, კოლუმბიამ და ჩილემ ხმა მისცა მიღების სასარგებლოდ. ამის შემდეგ საბჭოთა კავშირი და პოლონეთი წინაამდეგ აძლევდნენ ხმას ან შემდგომ კენჭისყრაში თავს იკავებდნენ წინა განცხადების შესაბამისად, რომ შეუძლებელია მიღებულ იქნას ზოგიერთი ქვეყანა და მიღებაზე უარი ეთქვას სხვებს. საბჭომ უარჰყო იტალიისა და ფინეთის განცხადებანი. საბჭოთა კავშირმა და პოლონეთმა ხმა მისცეს მათ წინააღმდეგ, სხვებმა კი მათი მიღების სასარგებლოდ. საფრანგეთმა, სირიამ, ჩინეთმა და კოლუმბიამ ხმა მისცეს რუმინეთის მიღების სასარგებლოდ, 7 სხვა წევრმა თავი შეიკავა...

...და ხალხები გარკვეულად მიხვდებიან საბჭოთა კავშირის ნამდვილ განზრახვებს.

საბჭომ განცხადებებს კენჭი უყარა მათი მიღების რიგის მიხედვით. პირველი უარჰყვეს უნგრეთის განცხადება. უნგრეთის განცხადებაზე მიღების შესახებ 6 ქვეყანამ თავი შეიკავა, ხუთმა ქვეყანამ — საბჭოთა კავშირმა, პოლო-...

...დასასრულ კაც-სუხიმ განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იდეა წარმოიშვა არა პოლიტიკურ მოღვაწეთა თავში, არამედ ხალხებში და რომ ორგანიზაცია შექმნილია ხალხთა მსხვერპლის ფასად. კაც-სუხიმ აგრეთვე განაცხადა, რომ ხალხები დაიცავენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებს.

## საბჭოთა დელეგაციის განცხადება

**ნიუ-იორკი,** 1 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). პრესის წარმომადგენელთა შეკითხვების პასუხად, თუ რა აზრისაა საბჭოთა დელეგაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე იმ მდგომარეობის შესახებ, რომელიც შეიქმნა უშიშროების საბჭოს ერთი არამუდმივი წევრის არჩევნებთან დაკავშირებით, სსრ კავშირის დელეგაციამ პრესას გადასცა შემდეგი განცხადება:

„ზოგიერთი დელეგაციის და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატებისა და...

...არ შეიძლება არ გამოიწვიოს იმათი კანონიერი აღშფოთება, ვინც ცდილობს განამტკიცოს თანამშრომლობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. სლავურ სახელმწიფოებს უდავო უფლება აქვთ წამოაყენონ თავიანთი წრიდან ერთი კანდიდატი პოლონეთის ნაცვლად და იმედი იქონიონ, რომ ამ კანდიდატურას სავსებით დაუჭერს მხარს გენერალური ასამბლეა. რასაკვირველია, შეიძლება იყოს და კიდევაც არის ისეთი საკითხები, რომელთა შესახებ დელეგაციათა შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. მაგრამ არის ისეთი საკითხები, რომელთა შესახებ არ შეიძლება სხვადასხვა აზრი არსებობდეს. ასეთ საკითხებს ეკუთვნის უშიშროების საბჭოს დაკომპლექტების საკითხი, რომლის პრინციპებიც ზუსტად არის განსაზღვრული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 23 (1) მუხლით, აგრეთვე უკვე დადასტურებულია გენერალური ასამბლეის პირველ სესიაზე უშიშროების საბჭოს არჩევნების გამოცდილებით. ამიტომ სსრ კავშირის დელეგაცია პროტესტს აცხადებს ზოგიერთი დელეგაციის ცდების წინააღმდეგ — არ დაუშვან უშიშრო-...

...მენ საერთაშორისო თანამშრომლობას, რომლის განმტკიცებაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს.

საბჭოთა დელეგაცია დარწმუნებულია, რომ დელეგაციათა უდიდესი უმრავლესობა ჰპოვებს ამ საკითხის სწორ გადაწყვეტას, თუ გაითვალისწინებს სლავურ სახელმწიფოთა კანონიერ ინტერესებსა და უდავო უფლებას — იყოლიონ წარმომადგენელი უშიშროების საბჭოს არამუდმივი წევრის სახით“.

## კორეიდან საბჭოთა კავშირის და ამერიკის ჯარების გაყვანის შესახებ საბჭოთა მთავრობის წინადადების გამო

**ფხენიანი,** 2 ოქტომბერი. (საკდესი). სამხრეთ კორეის პრესა კვლავ აქვეყნებს გამოხმაურებას კორეიდან საბჭოთა კავშირის და ამერიკის ჯარების გაყვანის შესახებ საბჭოთა მთავრობის წინადადების გამო.

...გენერალური ასამბლეის განსახილველად კორეის საკითხის გადაცემისათვის, რაც „კიდევ უფრო აძნელებს ამ საკითხის გადაწყვეტას“.

დემოკრატიული სახალხო ფრონტი ამხელს აგრეთვე სამხრეთ კორეის რეაქციულ პარტიებ-...

...შრომის პარტიისა და დემოკრატიული სახალხო ფრონტის განცხადება; ისინი მიესალმებიან საბჭოთა წინადადებას და ამასთან ამხელენ მემარჯვენე პარტიების პოლიტიკას, რომელნიც ამ წინადადების წინააღმდეგ ილაშქრებენ.

სამხრეთ კორეის შრომის პარტია თავის განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობის წინადადება მიმართულია „კორეელი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მიღწევისაკენ“.

დემოკრატიულ სახალხო ფრონტს საბჭოთა წინადადება სამართლიანად მიაჩნია და კორეელ ხალხს მოუწოდებს „ყოველნაირად მიესალმოს“ მას.

დემოკრატიული სახალხო ფრონტის განცხადება ჰგმობს ამერიკის შეერთებულ შტატებს ...მხურვალედ იწონებენ საბჭოთა წინადადებას და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ იგი წარმოადგენს „მცირე ერთა ინტერესების ყველაზე სწორ გამოხატულებას“.

ამასთან ერთად, სამხრეთ კორეის უკიდურესი რეაქციული პარტიები და ორგანიზაციები კვლავ გამოდიან საბჭოთა წინადადების წინააღმდეგ, რადგან აშკარად ეშინიათ, რომ ამერიკის ჯარების წასვლის შემთხვევაში ისინი ვეღარავის დაეყრდნობიან თავიანთ ანტიხალხურ საქმიანობაში. ამ მხრივ დამახასიათებელია განცხადება საკმაოდ ცნობილ რეაქციონერ ლი სინ მანისა, რომელიც მხარს უჭერს იმას, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დასტოვონ კორეაში ჯარების თუნდაც მცირე ნაწილი „საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად“.

## უოლესის გამოსვლა ბოსტონში

**ნიუ-იორკი,** 2 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი გადმოგვცემს, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა უოლესმა ბოსტონში სიტყვა წარმოსთქვა და მოუწოდებდა შეიქმნას ამერიკელი ხალხის „წინააღმდეგობის კარგად ორგანიზებული მოძრაობა“ იმ მიზნით, რომ ტრუმენს, მის მთავრობასა და კონგრესს შეაცვლევინონ ახლანდელი ...ეყრდნობოდა მთავრობას, რომელიც 1944 წელს არჩეულ იქნა ფაშიზმზე სრული გამარჯვების მოსაპოვებლად და ომის შემდეგ მთელი ჩვენი ხალხისათვის უშიშროების მისაღწევად. გულახდილად უნდა განვაცხადო, არ მოველოდი, რომ ახლანდელი მთავრობა და კონგრესი გამოიჩენენ ჩვენი პოლიტიკის სახიფათო კურსის შესაცვლელად საჭირო გაბედულებას მანამდე, სანამ არ ხედავენ, ...

...რეო პოლიტიკა ჰქმნის სახიფათო უთანხმოებას საბჭოთა კავშირთან, რასაც საჭიროება არ მოითხოვს, უოლესმა ამერიკული გაზეთების გამომცემლებსა და უოლ-სტრიტელ მოსაქმეებს ბრალად დასდო, რომ მათ ხელთ იგდეს კონტროლი შეერთებული შტატების საშინაო და საგარეო პოლიტიკისადმი. უოლესმა აღნიშნა, რომ მილიონობით ამერიკელებმა 1946 წლის არჩევნებში თავი შეიკავეს ხმის მიცემისაგან, რამაც ახლანდელ კონგრესს საშუალება მისცა ხელთ აეღო კონტროლი ნაციონალური პოლიტიკისადმი, და განაცხადა: „უმნიშვნელო უმრავლესობის მიერ არჩეული ეს კონგრესი მხოლოდ პატარა უმცირესობას წარმოადგენდა. იგი ერთგულად ემსახურებოდა უოლ-სტრიტს და ...ამ პოლიტიკას, ეს პოლიტიკა, რომელმაც ომის გზაზე დაგვაყენა, შეიძლება შეცვლილ იქნას წინააღმდეგობის მხოლოდ კარგად ორგანიზებული მოძრაობის შემწეობით... ამჟამად მათ, ვისაც დემოკრატიისა ეშინია, თავიანთი შეუზღუდველი ძალაუფლება და ყველა სხვა შესაძლო საშუალება გამოიყენეს იმისათვის, რომ ისტერია გამოეწვიათ. ყველასათვის ცნობილია, რომ ამჟამად პროპაგანდის ყველა საშუალებას იყენებენ იმისათვის, რომ უზრუნველჰყონ ძირმომპალი პოლიტიკის მხარდაჭერა... ფაქტები გვიჩვენებენ, რომ ამერიკელთა შედარებით მცირე ჯგუფი, რომელიც მსხვილ საფინანსო ორგანიზაციებს წარმოადგენს, ხელმძღვანელობს ჩვენს საგარეო და საშინაო პოლიტიკას...“.

## ლოურენსის სტატია ერთხმივობის წესის მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციის შესახებ

**ნიუ-იორკი,** 2 ოქტომბერი. (საკდესი). ჟურნალ „იუნაიტედ სტეიტს ნიუსის“ გამომცემელი ლოურენსი ჟურნალის უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილ სტატიაში შეერთებული შტატების მთავრობას ბრალად სდებს იმას, რომ ...ბის მიმართ, როგორიც შეერთებულ შტატებს. შეერთებული შტატები არ შევლენ არცერთ საერთაშორისო ორგანიზაციაში, რომელშიც უცხო სახელმწიფოთა ჯგუფს შესაძლებლობა ექნება ძალა დაატანოს შეერთებულ შტატებს...

...იქნეს, როცა ამტკიცებს, რომ საბჭოთა კავშირი „ბოროტად იყენებს ვეტოს უფლებას“. ლოურენსი სწერს, რომ საბჭოთა კავშირს ფაქტიურად ისეთივე კონცეფცია აქვს ვეტოს უფლე-... რუზველტი ამ პოზიციას ადგა, როდესაც წამოაყენა ვეტოს უფლების ამჟამად არსებული ფორმულირება. ამერიკელებმა თვითონ წამოაყენეს წინადადება ვეტოს უფლების შესახებ.

## სომხები საბერძნეთიდან საბჭოთა სომხეთში მოემგზავრებიან

**ათენი,** 30 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ პირეიდან საბჭოთა გემ „ჩუკოტკათი“ სომხეთს გაემგზავრა 2.700 სომეხი. მიმავალნი ნავსად-... გურში გაცილა რამდენიმე ათასმა სომეხმა, რომელთა უმრავლესობა შემდეგი გემებით გაემგზავრება სომხეთს.



„მკა“. მხატვარი ა. გიგოლაშვილი. ფოტორეპროდუქცია ვლ. გინზბურგის.

# ქართველი მხატვრები მოსკოვის გამოფენისათვის

დიდი ოქტომბრის 30 წლისთავისათვის მოსკოვში ეწყობა გამოფენა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის ყველა რესპუბლიკის მხატვრები.

ქართველმა მხატვრებმა მოსკოვში გასაგზავნად წარმოადგინეს ფერწერის, გრაფიკისა და ქანდაკების 80-მდე ნიმუში. იმ ნაწარმოებთა შორის, რომლებიც მოსკოვის გამოფენაზე გა-...

...ბორი“, ე. ახვლედიანის დეკორაციული ზაქი „ქლუხორის გზა“.

მხატვარმა გ. ჯაშმა დახატა სურათი — „...იმი კოლმეურნეობაში“, რომელშიც ...შეეცადა გადმოეცა საქართველოს ბუნება, მოზეიმე კოლმეურნეთა მხიარული ...ტული სახეები. ყურადღებას იპყრობს ...ვარ ა. გიგოლაშვილის სურათი...

...ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, პროფესორმა ი. შარლემანმა, შეასრულა სურათი „კუტუზოვი“. მხატვარ კ. სანაძეს წარმოდგენილი აქვს „კოლხეთის პეიზაჟი“, ს. ნადარეიშვილს სურათი „დაღუპულ გმირთა შესან-... ...ხის ახალსა და ძველ პეიზაჟებს, ...აღსანიშნავია მხატვრების: ლადო და დავით თათელაძეების, ვ. ბელეცკაიას, ნ. ზრაილის, გ. ფოცხიშვილის, ბ. სტარიკოვის, ნ. ჩერნიშკოვის ნაწარმოებები.

## სახელმწიფო უნივერსიტეტში

...ორშაბათს, 6 ოქტომბერს, დღის 3 საათზე დიდი აზერბაიჯანელი პოეტისა და მოაზროვნის ნიზამი განჯელის დაბადების 800 წლისთავის აღსანიშნავად უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში შესდგება ფილოლოგიისა და აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტების სხდომა. პროფესორი ა. ბარამიძე გააკეთებს მოხსენებას თემაზე: **ნიზამი განჯელის ცხოვრება და შემოქმედება.**

## ლექციები

**4 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე,** კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში მოეწყობა პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საკავშირო საზოგადოების ლექტორის პროფესორ **ნ. ხ. შჩერბინოვსკის** ლექცია თემაზე: **„ამერიკის შეერთებული...**

## თეატრებში

**4 ოქტომბერს:** ფალიაშვილის სახელობის — „შოთა რუსთაველი“; **რუსთაველის სახელობის** — „ღრმა ფესვები“; **მარჯანიშვილის სახელობის** — „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“; **გრიბოედოვის სახელობის** — „ძველი მეგობრები“; **მუსიკალური კომედიის** — „მარიცა“; ...

...**ასულ ტაბახმელაშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლო.

...(ცენტ) შალვა გაბრიელის-ძე გულ... გარდაცვალებას. პანაშვიდი 4-X, 7 ს. ... ხვენება 5-X, 2 ს. ნინოშვილის, 50.

რედაქციის მისამართი თბილისი, ლენინის ქ. № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მოვიდისა და გამოშვების — 3-81-65, გამომცემლობის — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. ბ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000